# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა-ორშაბათი, 18-19 აპრილი, 1999 წელი.

№100-101 (3142)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი შეთანხმებით


# ტრანსკავკასიის სატრანზიტო დერეფანმა მოქმედება დაიწყო

## მწყობრში ჩადგა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი



დაიწყო სუფსის ტერმინალიდან პირველი ტანკერის კასპიის ნავთობით ავსება. ამ მოვლენამ, რომელიც 17 აპრილს მოხდა, აღნიშნა ბაქო-სუფსის მარშრუტით კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების პროექტის დასრულება.

სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე შეიკრიბნენ საქართველოს პარლამენტის დეპუტატები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების მეთაურები, მრავალრიცხოვანი საზღვარგარეთელი სტუმრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ნავთობსადენისა და სუფსის სახმელეთო ტერმინალის გახსნის საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე.

იხ. მე-2 გვ.



### გვილოცავენ

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო,
ძვირფასო მეგობარო,

ნება მიბოძეთ გულითადად მოგილოცოთ სუფსაში ნავთობის ტერმინალის გახსნა.

ამით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ კასპიის ზღვის ზონიდან ნახშირწყალბადოვანთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ჩვენი საერთო პროსპექტების დაკონკრეტების გზით.

ამავე დროს ამ მომენტს მივესალმები, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას რეგიონის ხალხების თანამშრომლობისა და კეთილდღეობისათვის დადებითი კლიმატის შექმნის პროცესში. გამოცდილება ცხადყოფს, რომ სტაბილურობის განმტკიცებისა და მომავალი განვითარების ყველაზე საიმედო გზა გულისხმობს რეგიონული ინფრასტრუქტურის სწორედ ასეთი პროექტების განხორციელებას.

როგორც მოგეხსენებათ, რუმინეთი უშუალოდ არის დაინტერესებული ევროპაში კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების ასეთი გზების გახსნით. განსაკუთრებით, სუფსაში ნავთობის ტერმინალის გახსნა რუმინეთს ამ მარშრუტში ჩართვის რეალურ პერსპექტივას უსახავს.

შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ჩემს ქვეყანას თანამედროვე ინფრასტრუქტურა აქვს საზღვაო ნავსადგურებში ნავთობსადენებთან და ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებთან დაკავშირებით, რომლებიც სოლიდურ საფუძველს ქმნიან მნიშვნელოვანი რაოდენობის ნავთობის მიღებისათვის.

დღეს ჩვენ ვხედავთ, როგორ იწყებს განხორციელებას ჩვენი იდეები და პროექტები.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ მონაპოვარს და გამოვხატავ თქვენდამი, ბატონო პრეზიდენტო, ულრმეს პატივისცემას, გულწრფელ მეგობრობას და გიცხადებთ ჩემს დიდ სურვილს გაღრმავდეს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა.

საუკეთესო სურვილებით,

ემილ კონსტანტინესკუ,
რუმინეთის პრეზიდენტი.

### საპატიო მოქალაქე

## ტერენს ადამსი: „მე თავს უკვე კავკასიელად ვთვლი. ამიტომ, კიდევ უფრო მეტი საფუძველი მაქვს, ვიამაყო დღევანდელი დღით“

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის მარშრუტის პროექტის განხორციელებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის კომპანია „მონუმენტ ოილის“ აღმასრულებელ დირექტორს ტერენს ადამსს საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

17 აპრილს, საღამოს, საქართველოს პრეზიდენტმა საპატიო მოქალაქის დამადასტურებელი ატრიბუტიკა გადასცა ბატონ ტერენს ადამსს.

– ხუთი წლის წინათ, როცა დასავლეთის მიმართულების მარშრუტს მხოლოდ თეორიულად მოიაზრებდნენ, როცა ბევრს სხვადასხვა მიზეზის გამო არ სჯეროდა, რომ საქართველო საიმედო პარტნიორი იქნებოდა, თქვენ უყოყმანოდ ირწმუნეთ ჩვენი და მთელი ამ ხნის მანძილზე უდიდესი წვლილი გაიღეთ საქმის ბოლომდე მისაყვანად, – ასე მიმართა ედუარდ შევარდნაძემ კომპანია „მონუმენტ ოილის“ აღმასრულებელ დირექტორს.

სტუმრის თქმით, ეს მისთვის მოულოდნელი და დიდი პატივია. ტერენს ადამსმა გაიხსენა, რომ დასავლეთის მარშრუტის იდეის ხორცშესხმას წარსულში უკვე ორჯერ ცდილობდნენ. ეს კი მესამე და უკვე წარმატებით დაგვირგვინებული ცდაა. საქმე მარტო მილსადენში გასატარებელი ნავთობის რაოდენობა როდია, მთავარია, რომ ეს მიმართულება დაკანონდა, – განაცხადა სტუმარმა და იქვე დასძინა, – მე თავს უკვე კავკასიელად ვთვლი. ამიტომ, კიდევ უფრო მეტი საფუძველი მაქვს, ვიამაყო დღევანდელი დღით.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

### ინფორმაცია

## საქართველოს სამხედრო ძალები ნავთობტერმინალს იცავენ

საქართველოს სასაზღვრო ძალების, სანაპირო დაცვის სამსახურის 12 სწრაფმავალი კატარღა მუდმივად ახორციელებს ზღვიდან სუფსის ნავთობტერმინალის დაცვას, – აცნობა პრაიმ-ნიუსს სასაზღვრო ძალების სანაპირო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა რევაზ გაბუნიამ.

მისი თქმით, კატარღები ტერმინალს 14 აპრილიდან იცავენ და ბაზა კვირაში ერთხელ იცვლება.

ნავთობტერმინალის დასაცავად მუდმივ მზადყოფნაში არიან საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები, – უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ვალერი ნაყოფიამ.

სუფსის ნავთობტერმინალის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატში შემოღებულია გაძლიერებული სამუშაო რეჟიმი, – აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში.

სუფსის ნავთობტერმინალზე და სხვა პუნქტებში მოქმედებს სადღეღამისო საგუშაგოები.

ტერმინალის ჰაერიდან დაცვას სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ვერტმფრენები ახორციელებენ.

## საქველმოქმედო აქცია სართიჭალაში

გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის მოსახლეობაში უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაატარა გუშინ თბილისის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს აცნობა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ თემურ იოსელიანმა. საქველმოქმედო აქციაში, რომელიც მოქალაქეთა კავშირისა და გადამხდელთა კავშირის ინიციატივით გაიმართა, ინსტიტუტის 15 თანამშრომელი მონაწილეობდა. გამოიკვლიეს 500-მდე ადგილობრივი მაცხოვრებელი.

„გამოკვლევები ჩვენს მიერ ჩამოტანილი უახლესი სამედიცინო აპარატებით განხორციელდა“, – თქვა თემურ იოსელიანმა.

ეს სამედიცინო აპარატი საჩუქრად სოფლის ამბულატორიას დარჩება.

ინსტიტუტმა ანალოგიური აქციები გასულ წელს ბოლნისსა და ზუგდიდშიც გამართა.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუკუნის მაგისტრალი

# ტრანსკავკასიის სატრანზიტო დერეფანმა მოქმედება დაიწყო



(პირველი გვერდიდან)

შუადღისას აქ მოვიდნენ თბილისიდან ჩამოსული საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა და სპეციალურად ამ დღეს ბაქოდან ჩამოსული აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი. მათ დაათვალიერეს სუფსის ნავთობის კომპლექსის ტერიტორია, გაეცნენ დასავლეთის მიმართულებით კასპიის ადრეული ნავთობის სატრანზიტო ნავთობსადენის ამ დამამთავრებელი რგოლის მუშაობის რეჟიმს.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენი 30 თვეში აშენდა. პროექტის საერთო ღირებულებაა 565 მილიონი დოლარი. 830 კილომეტრი სიგრძის ნავთობსადენის გამტარუნარიანობა დღე-ღამეში 115 ათასი ბარელია (წელიწადში 5 მილიონი ტონა ნავთობი). ნავთობსადენის მშენებლობის ყველაზე დაძაბულ პერიოდში აქ 4 ათასი კაცი მუშაობდა, მათგან 70 პროცენტი საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქენი იყვნენ.

შეკრებილთა ტაშის გრიალში სამი ქვეყნის პრეზიდენტები ადიან იმპროვიზებულ სცენაზე, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანისა და უკრაინის სახელმწიფო დროშებით არის მორთული.

ცერემონიის გახსნისას საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ აღნიშნა, რომ 1999 წლის 17 აპრილიდან იწყება სამხრეთ კავკასიის ახალი ისტორიული ფუნქციის რეალიზაცია. დღეს ახალ სიცოცხლეს იძენს ჯერ კიდევ 100 წლის წინათ ძმები ნობელების მიერ გახსნილი კასპიის ნავთობის თავისუფალი ტრანსპორტირების გზა.

გიორგი ჭანტურიამ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძესა და აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს, რომელთა ძალისხმევის მეოხებითაც შესაძლებელი გახდა დასავლეთის მარშრუტით კასპიის ნავთობის ტრანზიტის განხორციელება, უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას – საქართველოსა და აზერბაიჯანის ლიდერებისადმი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხებისადმი მხარდაჭერისათვის.

საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის მეთაურმა მადლობა გადაუხადა იმათ, ვინც მონაწილეობდა ნავთობსადენის მშენებლობაში – აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის, საზღვარგარეთისა და საქართველოს სხვა კომპანიების წარმომადგენლებს, სპეციალისტებს, მუშებს, საქართველოს მცხოვრებს, ყველას, ვინც თავისი შრომით, მხარდაჭერით ხელი შეუწყო ამ ისტორიული დღის მოახლოვებას.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის პრეზიდენტმა ნატიგ ალიევმა და აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორტმა შეკრებილთ მიულოცეს ღირსშესანიშნავი მოვლენა. აღინიშნა, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობამ ცხადყო პროექტის მონაწილეთა მაღალი პროფესიონალიზმი, თავდადება, საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობა. კასპიის ადრეული ნავთობის დასავლეთის მარშრუტის ამოქმედება რეგიონის აყვავების, აქ მცხოვრებ ადამიანთა კეთილდღეობის საწინდარია.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის სპეციალურმა მრჩეველმა კასპიის აუზის ენერგორესურსების საკითხებში რიჩარდ მორნინგსტარმა წაიკითხა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის მილოცვა.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და სუფსის ტერმინალის გახსნის ცერემონიაზე გამოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა.

გიორგი ჭანტურიამ ამ მოვლენის სამახსოვროდ სამი სახელმწიფოს მეთაურებს ძღვნად გადასცა მედლები ცნობილი ქართველი მოქანდაკის გია ჯაფარიძის ორი ნაწარმოების გამოსახულებით. ერთ-ერთი სკულპტურაა „ცეცხლოვანი რაში“. იგი ბაქოშია აღმართული, მეორე – „ოქროს საწმისი– ოცდამეერთე საუკუნე“, რომელიც სუფსაში დაიდგმება.

ედუარდ შევარდნაძე, ჰეიდარ ალიევი და ლეონიდ კუჩმა მიუახლოვდნენ პულტს და გამშვებ ღილაკს დააჭირეს ხელი. სირენის ხმამ შეკრებილთ აუწყა ტანკერში ნავთობის ჩასხმის დაწყება. 18 აპრილს მალტის დროშიანი ტანკერი „სისალვია“ სუფსის სანაპიროდან გეზს აიღებს იტალიისაკენ, იგი დატვირთული იქნება სუფსის ტერმინალიდან ჩასხმული 87 ათასი ტონა კასპიის ადრეული ნავთობით. ამიერიდან ტანკერები აქ ყოველ 7-10 დღეში დაიტვირთება.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ გახსნეს მემორიალური დაფა, რომელზეც ქართულ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე წერია:

**„სუფსის ტერმინალი გახსნილია საქართველოს პრეზიდენტის მისი აღმატებულების ბატონ ედუარდ შევარდნაძის, აზერბაიჯანის პრეზიდენტის მისი აღმატებულების ბატონ ჰეიდარ ალიევის, უკრაინის პრეზიდენტის მისი აღმატებულების ბატონ ლეონიდ კუჩმას მიერ 1999 წლის 17 აპრილს. საქართველო, სუფსა“.**

სამი სახელმწიფოს მეთაურებმა სამახსოვრო ავტოგრაფები დატოვეს მემორიალურ დაფასთან, ხეები დარგეს ტერმინალის ტერიტორიაზე მეგობრობის სიმბოლურ ხეივანში.

### გაიხსნა „ფოთი-ილიჩოვსკის“ სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი

სუფსიდან საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა და მათი თანმხლები პირნი ფოთში გაემგზავრნენ. მათ დაათვალიერეს ფოთის ნავსადგური, იქ მდგომი ბორანი „უკრაინა“.

15 საათზე ფოთის ტერიტორიაზე დაიწყო „ფოთი-ილიჩოვსკის“ სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის გახსნის საზეიმო ცერემონია.

შეკრებილთ მიმართა საქართველოს ტრანსპორტის მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბორნე ხაზი ეს იმ გრანდიოზული სარკინიგზო-საბორნე ხიდის ნაწილია, რომელიც დააკავშირებს შავი ზღვის უდიდეს ნავსადგურებს – ფოთს, ბათუმს, ილიჩოვსკს, ვარნას. სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის გახსნა სახავს შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობის ახალ პერსპექტივას, ეკონომიკურად ხელსაყრელ გზებს უხსნის სატრანზიტო ტვირთებს. ეს ისტორიული მოვლენაა არა მარტო უკრაინასა და საქართველოსათვის.

მერაბ ადეიშვილმა განაცხადა, რომ ამ დღეს საქართველოს, უკრაინისა და ბულგარეთის ტრანსპორტის მინისტრების დონეზე ხელს მოაწერენ შეთანხმებას სამი ქვეყნის ნავსადგურების დამაკავშირებელი სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელების ამოქმედების შესახებ. იგი ითვალისწინებს ტვირთის გადაზიდვას ამ სახელმწიფოთა შორის უმოკლესი მარშრუტებით.

ევროკომისიის პირველი გენერალური დეპარტამენტის კომისარმა კორნელიუს ვიტერბროდმა შეკრებილთ აღუთქვა, რომ ევროკომისია კვლავაც მხარს დაუჭერს ტრასეკას პროექტს და საქართველოში სატრანსპორტო სექტორის განვითარებას.

ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისათვის დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების პროექტის დიდ მნიშვნელობას შეეხო თავის გამოსვლაში უზბეკეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი ლერიკ ახმეტოვი.

ფოთის მერმა აკაკი დარჯანიამ ყურადღება მიაპყრო იმ როლს, რომელიც ამ სანავსადგურე ქალაქმა უნდა შეასრულოს გრანდიოზული ტრანსეროვნული პროგრამების რეალიზაციის პროცესში.

სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის გახსნის ცერემონიაზე გამოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა.

მერაბ ადეიშვილის ნიშანზე დაიძრა პლატფორმაზე მდგომი სარკინიგზო შემადგენლობა. რამდენიმე წუთში იგი შევიდა ბორან „უკრაინაზე“.

* * *

დღის მეორე ნახევარში ფოთში საქართველოს პრეზიდენტის სახელით ოფიციალური სადილი გაიმართა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის, სუფსის ტერმინალისა და ფოთი-ილიჩოვსკის სარკინიგზო გადასასვლელის გახნასთან დაკავშირებით.

18 საათზე საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ფოთის აეროპორტისაკენ გაემგზავრნენ. იქიდან აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაური ბაქოს გაემგზავრა. საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტები თბილისში დაბრუნდნენ.

* * *

საღამოს თბილისის მოსწავლეახალგაზრდობის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტის სახელით დარბაზობა გაიმართა.

**საქინფორმი.**

**სერგო ედიშერაშვილისა და ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**



## ინფორმაცია

### ვინ ლაპარაკობს თბილისელთა სახელით?

თბილისის საკრებულოში პოლიტიკური პარტიები მხოლოდ გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის იბრძვიან, სადაც იგნორირებულია მოსახლეობის ინტერესები და იგი უნდა დაიმალოს.

ამის შესახებ განაცხადა შაბათს დედაენის ძეგლთან გამართულ მიტინგზე საზოგადოების – „დედაქალაქი ყველა უბანში“ აღმასრულებელმა მდივანმა ზაზა აგლაძემ. მისი თქმით, ქალაქში არსებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, საზოგადოებამ არაერთხელ მიმართა საკრებულოს, საიდანაც პასუხი არ მიუღია.

საკრებულოს მდივანმა ნანა დევდარიანმა პრაიმ-ნიუსთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ საზოგადოებას საკრებულოსათვის არასდროს მიუმართავს.

იგი თვლის, რომ ქუჩაში გამოსვლებით და მიტინგებით ქალაქის პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია.

დევდარიანის თქმით, საზოგადოების უკან გარკვეული პოლიტიკური ჯგუფი დგას, რომელსაც ქალაქის მოსახლეობის სახელით პროვოკაციების მოწყობა სურს.

### რჩეულიშვილი – ჯავახეთში არიან ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიან ქართულ-სომხურ ურთიერთობებს

სამცხე-ჯავახეთში არიან სეპარატისტულად განწყობილი ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიან ქართველ და სომეხ ხალხებს შორის ურთიერთობების განვითარებას, – განაცხადა შაბათს თბილისის სომხურ თეატრში გამართულ საქართველოს სოციალისტური პარტიისა და სომხეთის დაშნაკტცუნის პარტიის ერთობლივ სხდომაზე სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ვახტანგ რჩეულიშვილმა.

მისი თქმით, ეს ადამიანები არ გამოხატავენ საქართველოში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის ინტერესებს.

სომხეთის დაშნაკტცუნის პარტიის დელეგაცია 16 აპრილს ჩამოვიდა თბილისში. მარტში რჩეულიშვილი ერევანში იმყოფებოდა, სადაც სომხეთის დაშნაკტცუნისა და საქართველოს სოციალისტურ პარტიებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

რჩეულიშვილის თქმით, ორივე სახელმწიფო ეკონომიკის აღდგენის გზაზე თითქმის ერთი და იგივე პრობლემებს აწყდება და ამიტომ საჭიროა ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარება.

სომხეთის დაშნაკტცუნის პარტიის თავმჯდომარის მოადგილის არმენ რუსტამიანის თქმით, ყოველთვის მოიძებნება ძალა, რომელიც ეროვნული შუღლის გაღვივებას შეძლებს.

### ქართველი მეთევზეების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე

ქართული სეინერის „ალიონის“ კაპიტნის და მთავარი მექანიკოსის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, აცნობეს პრაიმ-ნიუსს აფხაზთა უშიშროების სამსახურში.

აფხაზთა სამხედრო პროკურატურა ქართველ მეთევზეებს „რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაში და თევზის არაკანონიერ რეწვაში“ ადანაშაულებს.

ეკიპაჟის დანარჩენი წევრებისათვის ბრალდება არ წაუყენებიათ, რადგან „ისინი სეინერის აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში შესვლის შესახებ არ იყვნენ ინფორმირებულნი“, აცნობა პრაიმ-ნიუსს აფხაზთა უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის მოადგილემ სერგეი ცარგუშმა. მისი თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ქართულ მხარესთან ეკიპაჟის წევრების სამ აფხაზ ტყვეზე გაცვლის შესახებ, რომლებიც რამდენიმე თვის წინათ „ქართულმა დივერსიულმა ჯგუფებმა გალის რაიონში დააკავეს“.

თუ ასეთი შეთანხმება მიღწეული იქნება, მაშინ სეინერის კაპიტნის და მთავარი მექანიკოსის მიმართ სისხლის სამართლის საქმე გაუქმდება, თქვა ცარგუშმა.

რაც შეეხება სეინერ „ალიონს“, აფხაზური მხარე არ აპირებს მის დაბრუნებას. სოხუმის თქმით, ადრე სეინერი სოხუმის თევზის მეურნეობას ეკუთვნოდა და 1992 წელს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებამდე, ფოთის ნავსადგურში სარემონტოდ იყო გადაგზავნილი.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნის მაგისტრალი

# ნავთობსადენის მშენებლობაში მონაწილეობა საპატიოც იყო და დიდი სიკეთეც



ბაქო-სუფსის ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის დაპროექტებასა და მშენებლობაში მთელი რიგი უცხოური და ქართული საინჟინრო კომპანია მონაწილეობდა. მათ შორის იყო ახალგაზრდა ქართული საინჟინრო ორგანიზაციაც **„გეოინჟინირინგი“**.

სწორედ უცხოური კომპანიების მიერ ამ პროექტის განხორციელებისათვის გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებამ განაპირობა – 1997 წელს (ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების წელს) ჩვენი ორგანიზაციის ჩამოყალიბება და განვითარება. თუმცა იგი ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. მას **„გეოინჟინირინგი“** შეიქმნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1994 წელს დაარსებული საკვლევ-საძიებო საპროექტო ცენტრის **„სტუპროექტცენტრის“** ინტელექტუალურ ბაზაზე. დღეისათვის ეს ორი ორგანიზაცია ერთმანეთს ავსებს, მაგრამ აქვთ მკაფიოდ გამიჯნული სამოქმედო სფეროები: **„სტუპროექტცენტრი“** ორიენტირებულია მეცნიერებატევადი სახელმწიფო პროგრამების, კონცეპტუალური პროექტების, სამშენებლო ნორმატიული ბაზის შექმნასა და საექსპერტო საქმიანობაზე; ხოლო **„გეოინჟინირინგი“** – კონკრეტულ საინჟინრო საკვლევ-საძიებო-საპროექტო და სამშენებლო საქმიანობაზე.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენთან დაკავშირებული პირველი სერიოზული სამუშაო იყო ამ პროექტის დეტალური საინჟინრო ექსპერტიზა, რომელიც **„სტუპროექტცენტრის“** წამყვანმა სპეციალისტებმა მოაწყვეს და გამოავლინეს სერიოზული ხარვეზები. მათი გათვალისწინება აუცილებელი შეიქმნა. კერძოდ, მილსადენის უსაფრთხოების მიზნით მთელ ტრასაზე მოხდა მილის განლაგება 1.5-მეტრის სიღრმეზე (მდინარეებისა და არხების გადაკვეთებზე უფრო ღრმადაც); განხორციელდა სპეციალური დამცავი ღონისძიებები მეწყრულ და საშიშ უბნებზე, კონკრეტული კორექტივები შეიტანეს სატუმბ და წნევის დამგდებ სადგურებზე ცალკეული ნაგებობების საძირკვლების კონსტრუქციებში და სხვა.

**„სტუპროექტცენტრის“** და **„გეოინჟინირინგის“** ყველაზე ფასეული კომპონენტი მეცნიერთა და პრაქტიკოსთა კადრები და მათი მაღალი პროფესიონალიზმია. ამ უკანასკნელში გაერთიანებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერები, სხვადასხვა საწარმოო და საპროექტო ორგანიზაციიდან მოწვეული გამოცდილი სპეციალისტები. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის შესაბამისად, თანამშრომელთა ძირითადი ბირთვი (35-40 კაცი) 200 კაცამდეც კი იზრდება.

**„გეოინჟინირინგის“** საქმიანობის ძირითადი მიზანია სამუშაოთა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით და უმაღლესი ხარისხით შესრულება. ეს მიზანი კი ყოველი კონკრეტული სამუშაოს დროს დაძაბული და, რაც მთავარია, კეთილსინდისიერი შრომით, ინიციატივისა და შემოქმედებითი აზრის დამკვიდრებით, თანამშრომელთა ურთიერთპატივისცემითა და თანადგომით მიიღწევა.

საქმისადმი ასეთმა მიდგომამ **„გეოინჟინირინგი“** ნავთობსადენის მშენებლობაში მონაწილე ცნობილი უცხოური კომპანიების ქვეკონტრაქტორად და ღირსეულ პარტნიორად აქცია.



კომპანიების „დეიმს ენდ მურის“, „მაქკონელ დოუელის“ და „ტექფენის“ დაკვეთით **„გეოინჟინირინგმა“** შეასრულა დიდი მოცულობის ტოპოგეოდეზიური და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ბაქო-სუფსის ნავთობსადენის საქართველოს ფარგლებში. დეტალური ტოპო-გეოდეზიური და საინჟინრო გეოლოგიური აგეგმვა განხორციელდა ტრასის გასწვრივ 122 კმ-ზე. გაყვანილია და დასინჯული 159 შურფი და 46 ჭაბურღილი, საერთო მოცულობით 366 და 516 მ. მოეწყო გრუნტების და მიწისქვეშა წყლების მრავალი ათეული ლაბორატორიული და საველე ცდა.

საქართველოს მილსადენის კომპანიის **GPC**-ის დაკვეთით გაიბურღა და მოეწყო 88 ეკოლოგიური სამონიტორინგო ჭაბურღილი 24 უბანზე 300 მეტრი, საერთო სიგრძით.

„მაქკონელ დოუელის“ და „ტექფენის“ დაკვეთის სატუმბ, წნევის დამგდებ სადგურებზე და სხვა ობიექტებზე შემოწმდა სამშენებლო სამუშაოების შესრულების ხარისხი.

ამავე კომპანიების დაკვეთით **„გეოინჟინირინგმა“** შეასრულა საკმაოდ რთული და შრომატევადი ნაპირდაცვითი სამშენებლო სამუშაოები მდინარეების: წინამურისხევის, არაგვის და ძირულის გადაკვეთებზე. მათგან აღსანიშნავია მდ.არაგვის მარჯვენა ნაპირზე 10 მეტრი სიმაღლის გაბიონების არაორდინალური კონსტრუქციის მოწყობა.

ამ სამუშაოების შესრულებით მიღებულმა შემოსავლებმა (დაახლოებით 400 ათასი დოლარის რაოდენობით) **„გეოინჟინირინგს“** საშუალება მისცა აღჭურვილიყო უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, საბურღი დანადგარებით, ლაბორატორიული მოწყობილობით.

მიღებული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა საქართველოსთვის ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების დამუშავებას, როგორიცაა: საქართველო-თურქეთის რკინიგზების შემაერთებელი თბილისი-ყარსის რკინიგზის წინასაპროექტო დოკუმენტაცია და საინვესტიციო წინადადება; რამდენიმე მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის წინასაპროექტო დოკუმენტაცია და ბიზნესგეგმა; საქართველოს მაგისტრალური საავტომობილო გზის (ფოთი-წითელი ხიდი) რეკონსტრუქციის კონცეფცია.

ამჟამად **„გეოინჟინირინგი“ „სტუპროექტცენტრთან“** ერთად მუშაობს საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის კონცეპტუალური პროექტის შედგენაზე.

ამრიგად, ნავთობსადენის მშენებლობაში მონაწილეობამ **„გეოინჟინირინგს“** მყარი საფუძველი შეუქმნა საერთაშორისო დონის საინჟინრო პროექტების შექმნისა და მათი წარმატებით რეალიზაციისათვის.

**ომარ ქუცნაშვილი,**
„გეოინჟინირინგის“ გენერალური დირექტორი, დოქტორი, პროფესორი;

**დევი ჩხეიძე,**
მეცნიერი კონსულტანტი, პროფესორი.

**სურათებზე: „გეოინჟინირინგის“ თანამშრომელთა ერთი ჯგუფი; მას „გეოინჟინირინგის“ მშენებლები მდ. არაგვზე ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობისას.**

საუკუნეთა მიჯნაზე

# ეკონომიკა და სახელმწიფო

## 2. ახალი მიდგომები, ახალი ფუნქციები

უპირველეს ყოვლისა ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მნიშვნელობა თანამედროვე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებსა და სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობებიდან თანამედროვე საბაზრო პრინციპებზე გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში. სამწუხაროდ, ამ მხარეს მეცნიერებასა და პრაქტიკაში ნაკლები ყურადღება ექცევა.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო იღებს თვისებრივად ახალ, მასშტაბურ, მანამდე მისთვის თითქოს უჩვეულო ფუნქციას სოციალური სფეროს ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიცაა დასაქმება, განათლება, გარემოს დაცვა და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ მთლიან შიდა პროდუქტში უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ხარჯების წილი. მაგალითად, 1980-1998 წლებში იგი გაიზარდა აშშ-ში 8-დან 33,1 პროცენტამდე, იაპონიაში – 11-დან 35,5, ინგლისში – 10-დან 39,7, გერმანიაში – 10-დან 47,4, საფრანგეთში – 15-დან – 53,2, შვეციაში – 6-დან 60,8 პროცენტამდე. ესეც თავისებურებაა, უფრო სწორად ტენდენცია, რომელიც კარგად ასახავს საზოგადოებრივი პროგრესის უზრუნველმყოფი ფაქტორების მოქმედებაში მომხდარ თვისებრივ ცვლილებებს, მათ ტრანსფორმაციას, სრულიად ახალი ფაქტორების გამოვლენას, რაც საბოლოოდ აღიარებული პარადიგმების, თეორიების გარდაქმნისა და ახალ პირობებთან ადაპტირების მაჩვენებელია.

თანამედროვე შეხედულებათა მიხედვით, ცივილიზებული საზოგადოება მხოლოდ ცალკეული ინდივიდების ან ჯგუფების, კლასების ინტერესებს არ გამოხატავს, არამედ იგი მუდმივად ცდილობს მიაღწიოს პოლიტიკურ სტაბილურობას, სიღარიბის დაძლევას, ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. სხვანაირად სხვადასხვა ინტერესების დაპირისპირების შერბილება, რაც საზოგადოებაში სოციალური თანხმობისათვის აუცილებელია, ვერ მიიღწევა. საზოგადოების ამ უნიკალურ ფუნქციას შესაბამისი ზნეობრივი და პოლიტიკურ-ორგანიზაციულ პრინციპებზე დაყრდნობით ასრულებს სახელმწიფო. ამას ემსახურება გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და განხორციელებაც. ცნობილია, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა დაბალანსებულია, **იგი ეფექტიანია, ერთიან სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ საფუძველზე ჩამოყალიბებული სისტემა. ამ სისტემის რომელიმე ელემენტი როცა უწესივროდ მუშაობს, მაშინ სახელმწიფო ერევა პროცესების რეგულირებაში, რათა სისტემის ნორმალური ფუნქციონირება აღადგინოს.** ამიტომაც სახელმწიფო როცა ზემოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე, მიზნად ისახავს მიაღწიოს მყარ ეკონომიკურ ზრდას, შეინარჩუნოს ფასების სტაბილურობა, დაასაქმოს შრომისუნარიანი მოსახლეობა, უზრუნველყოს მოსახლეობა შემოსავლების მინიმალური დონით, შექმნას მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა, აღადგინოს წონასწორობა საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში და ა. შ. როგორც ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების სამეურნეო პრაქტიკამ გვიჩვენა, ამ მიზნების მიღწევა ერთდროულად არ ხდება. მაგალითად, როცა მიღწეულია სრული დასაქმება, დაიწყება ფასების ზრდა, იმის გამო, რომ მუშაკთა უფრო მეტმა რაოდენობამ უნდა მიიღოს ხელფასი (ამ დროს შრომის ბაზარზე შემცირდება კონკურენცია. ეს კი საერთო პროგრესს აფერხებს). ამასთან ხელფასის ზრდა ასტიმულებს წარმოების ავტომატიზაციის დაჩქარებას და შესაბამისად უმუშევრობას. როცა გადასახადები მცირდება და სოციალურ მიზნებზე სახელმწიფო ხარჯები იზრდება, იქმნება ბიუჯეტის დეფიციტი. ასეთ და სხვა ანალოგიურ შემთხვევაში აუცილებელია ინტერესების დაბალანსება, კონკურენტული წონასწორობის აღდგენა. სწორედ ასეთ პირობებში სახელმწიფო გამოდის კონკრეტულ სიტუაციასთან ადაპტირების მექანიზმებით, ბაზრის თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების კოორდინაციით. ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე, მაგალითად, როგორია საწარმოო ძალების განვითარების, შრომის დანაწილების, სპეციალიზაციის, კოოპერაციის, ინტეგრაციული პროცესების დონე, საკუთრებითი ურთიერთობები, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ინფრასტრუქტურა და სხვა.

ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა უაღრესად აქტუალურია დღესაც. ამას ადასტურებს თანამედროვე პირობებში მსოფლიო ფინანსური კრიზისიც, ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოს ასევე სახელმწიფოთა შორის კავშირების (საფინანსო სტრუქტურების) ეკონომიკურ პროცესებში აქტიური ჩარევა აღიარებულია კრიზისიდან გამოსვლის რეალურ გზად. ასეთ მიდგომას ადასტურებს მსოფლიო ბანკიც. მისი აზრით, სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ მკაფიო სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ეკონომიკური პროცესებისადმი მიზნობრივი მხარდაჭერა. მსოფლიო ბანკი მოითხოვს მეტი ყურადღება მიექცეს კორპორაციული და ფინანსური სექტორის რესტრუქტურიზაციას, მოსახლეობის დაუცველი ფენების სოციალურ დაცვას. მსოფლიო ბანკის მიხედვით თანამედროვე პირობებში სახელმწიფომ უნდა შეასრულოს 5 ფუნდამენტური ფუნქცია: კანონიერების საფუძვლების დამტკიცება (სახელმწიფო ასრულებს კანონმდებლის ფუნქციას. განსაკუთრებით იზრდება მისი მნიშვნელობა გარდამავალ პერიოდში); დაბალანსებული პოლიტიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა (რომელიც ეყრდნობა რეალურ სიტუაციას, მათ შორის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას); საბაზრო სოციალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის დაფინანსება; მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა; გარემოს დაცვა.

ნიშანდობლივია, რომ ბოლო წლებში მსოფლიო ბანკმა განსაზღვრა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებისათვის სახელმწიფოს პოტენციალის გაძლიერების ამოცანა. ამ მიზნით მან შეიმუშავა თანამედროვე პირობებში ქვეყნების განვითარების ორსაფეხურიანი სტრატეგია, რომლის პირველ ელემენტად აღიარებულია სახელმწიფოს ფუნქციების მის პოტენციალთან შესაბამისობა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც იგი ეყრდნობა კონკრეტული სიტუაციის კომპლექსურ

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№100-101. კვირა-ორშაბათი, 18-19 აპრილი, 1999 წელი.

საუკუნეთა მიჯნაზე

# ეკონომიკა და სახელმწიფო

(მესამე გვერდიდან)

ანალიზსა და შეფასებას. სტრატეგიის მეორე ელემენტად აღიარებულია სახელმწიფოს პოტენციალის განმტკიცება საზოგადოებრივი ინსტიტუტების აქტივიზაციით. იგულისხმება ისეთი ეფექტიანი ნორმებისა და შეზღუდვების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ხელისუფლების თვითნებობის აღკვეთას და კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერებას.

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მსოფლიო ბანკის 1997 წლის მოხსენებიდან დებულებას, რომ „ისტორიამ მოგვცა ბევრი მაგალითი იმისა, რომ კარგი მთავრობა – ეს ფუფუნება არ არის, არამედ სასიცოცხლო აუცილებლობაა. ეფექტიანი სახელმწიფოს გარეშე ეკონომიკური და სოციალური მდგრადი განვითარება შეუძლებელია". ცხადია, მსოფლიო ბანკის ასეთ რეკომენდაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ახლებურად გააზრებისათვის. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სანიმუშო მაგალითს იძლევა ამერიკის შეერთებული შტატები. ცნობილია, რომ აშშ 1993 წლიდან სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში პირველად გამოიყენეს სახელმწიფოსა და საბაზრო მექანიზმების შეხამების მეთოდი. იგი შემდგომ პერიოდებში უფრო დაიხვეწა, მობილური გახდება. საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიკურ პოლიტიკაში მოქმედებს ორმაგი სტანდარტით. განვითარებული და სხვა ქვეყნებისათვის აქტიურად ე. წ. ლიბერალიზმის ექსპორტს ეწევა, ხოლო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში ყოველმხრივ აძლიერებს სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმებს. ამის კარგ მაგალითად გამოდგება 80-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში შემუშავებული განვითარების პრიორიტეტი „სრული დასაქმება და ეკონომიკის დაბალანსებული ზრდა". ამ პრიორიტეტისათვის კონგრესმა პასუხისმგებლობა დააკისრა სახელმწიფო ადმინისტრაციას (მთავრობას). პრიორიტეტი ყოველმხრივ გამაგრებულია საერთო სახელმწიფოებრივი პროგრამებითა და ფინანსური მხარდაჭერით. სახელმწიფოებრივი რეგულირების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პროგრამული მიდგომა და სახელმწიფო ბიუჯეტის საინვესტიციო როლის მნიშვნელოვანი ზრდა. ნიშანდობლივია, რომ კონგრესის გადაწყვეტილება პრეზიდენტისაგან ითხოვს ინიციატივას, რათა შემუშავდეს ღონისძიებანი, რომ შესრულდეს სრული დასაქმებისა და დაბალანსებული ზრდის ამოცანები. კონგრესი ავალდებულებს პრეზიდენტს, დასაქმების სფეროში უზრუნველყოს ფედერალურ მთავრობას, რეგიონებს, შტატებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე კერძო სექტორებს შორის ეკონომიკური ქმედების კოორდინაცია. საკამათო არ უნდა იყოს, რომ აშშ კონგრესის ასეთი პოზიცია ეკონომიკის განვითარებაში ახლებურად მიდგომას ნიშნავს და მთავრობის როლისა და მნიშვნელობის ზრდასაც ადასტურებს. სადაო არ უნდა იყოს, რომ მომავალში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი უფრო გაიზრდება. გარდა „ტრადიციული სფეროებისა" მას ხელს შეუწყობს ისეთი მოვლენები, როგორიცაა მსოფლიოში ენერგეტიკული, სავალუტო, ეკოლოგიური კრიზისები, სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა (მათი მზარდი ხასიათი), წარმოების ავტომატიზაციის ფართოდ განვითარება (რაც ბუნებრივია შრომის ნაყოფიერებას ზრდის, მაგრამ უმუშევრობას იწვევს), წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი ტემპის გარდუვალობა (იგი კონკურენციას ზღუდავს), დიდი ქალაქების სოციალური პრობლემები, მზარდი წინააღმდეგობები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, სიღატაკის პრობლემა და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ ეს და სხვა მრავალი ფაქტორიც განაპირობებს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობების მრავალმხრივ ფორმებს, საერთოდ ეკონომიკური რეგულირების საერთაშორისო სტრუქტურების ჩამოყალიბებას, მათ ფუნქციონირებას. მაგალითად, XX საუკუნის მიწურულს საყოველთაოდ ცნობილი სტრუქტურებია მსოფლიო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და სხვა მრავალი სტრუქტურა და ბლოკი, რომელიც ძირითადად ეკონომიკის რეგულირებაზე მიზანმიმართულად მუშაობს. ეს ტენდენცია გვიჩვენებს, რომ მსოფლიო ეკონომიკის რეგულირება ხორციელდება არა „უხილავი ხელის" მეშვეობით, არამედ „ხილული ხელით" (სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ უპირველესად ნაციონალური ეკონომიკების სასიცოცხლო ინტერესების დაცვის მიზნით, რა თქმა უნდა, საბაზრო მექანიზმების „წერტილოვანი" გამოყენებით). ამრიგად, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი (სახელმწიფოთაშორისი) რეგულირება თანამედროვე პირობებში და მომავალშიც საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უნივერსალურ მექანიზმად, კვლავწარმოებითი პროცესის ორგანულ ნაწილად მივიჩნიოთ. ასეთია XX საუკუნეში სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი არსებითი თავისებურება და კანონზომიერება. ამიტომ ბუნებრივია პოლიტიკაში, სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების და კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს საზოგადოების განვითარების პროცესებზე სახელმწიფოს ზემოქმედების ადეკვატური სისტემაც.

> გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება თანამედროვე პირობებში (მომავალშიც) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უნივერსალურ მექანიზმად, კვლავწარმოებითი პროცესის ორგანულ ნაწილად მივიჩნიოთ. ასეთია XX საუკუნეში სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი არსებითი თავისებურება და კანონზომიერება.

**ნოდარ ჭითანავა.**

არქეოლოგია

# გარდასულ დღეთა ნაკვალევზე



დედაქალაქის წარსულის თეთრი ფურცლების შევსებას ემსახურება საქართველოს საპატრიარქოს, კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით 1998 წლის 1 ივლისიდან არქეოლოგიური სამუშაოების დაწყება აბანოთუბანში, სამლებროსა და ბოტანიკური ქუჩების გადაკვეთაზე, წმინდა ორმეოც მოწამეთას ნაეკლესიარზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ტყემელაშვილი, მეცნიერთანამშრომლები ჯემალ გვეტაძე, ზურაბ კალანდაძე, არქიტექტორი მანუჩარ ყარაშვილი) და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს (ხელმძღვანელი მერაბ ძნელაძე, ფოტოგრაფი გოგი გიორგობიანი) ერთობლივ საქმიანობას შემწეობენ საპატრიარქოს წარმომადგენლები – კრწანისის წმინდა ნიკოლოზის მოძღვარი, დეკანოზი მამა ბესარიონი (მენაბდე) და მიქაელ ტვერელის ეკლესიის მოძღვარი მამა ზურაბი (ანთაძე).

ეკლესიის აგების შესახებ მეცნიერებს რამდენიმე მოსაზრება აქვთ გამოთქმული. ერთი ვერსიით მისი აგება უკავშირდება გორგასლის მიერ ბიზანტიის კეისრის ქალიშვილის მეუღლედ მოყვანის ფაქტს (პ. იოსელიანი), მეორე მოსაზრებით (რომელსაც ნაწილობრივ დღევანდელი ძეგლის მკვლევარნი იზიარებენ) კი იგი აგებული უნდა იყოს VII საუკუნის I ნახევარში, არაბების შემოსევამდე.

ისტორიული წყაროები გვამცნობენ: ქალაქ სებასტიაში ცხოვრობდა მხედართმთავარი, აგრიკოლაუსი – წარმართი, ქრისტიანების სასტიკი მტერი. მის ლაშქარში განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდა ორმოცი კაბადოკიელი მეომრისგან შემდგარი რაზმი. აგრიკოლაუსმა ისინი საპყრობილეში ჩაყარა, რადგან უარი თქვეს მსხვერპლი შეეწირათ წარმართთა ღმერთებისათვის.

ურჩი მეომრები გაუშიშვლებიათ და მთელი ღამით დაუტოვებიათ გაყინულ ტბაზე, რომელიც ქალაქ სებასტიის მახლობლად მდებარეობდა. ამ დროს ფხიზლობდა მხოლოდ ერთი მცველი – აგლაიოსი. მან დაინახა, რომ მოწამეთას თავზე ბრწყინვალე გვირგვინი გამოისახა. ამ სასწაულის ხილვამ მას გაქრისტიანება გადააწყვეტინა. აგლაიოსმა სამოსი გაიხადა და შეუერთდა გაწირულებს.

გაყინულთა გვამები დაწვეს. მესამე დღეს მოწამენი სებასტიის ეპისკოპოსს, ნეტარ პეტრეს გამოეცხადნენ და სთხოვეს ქრისტიანულად დაეკრძალათ. პეტრემ შეასრულა მათი თხოვნა.

ეს ამბავი 320 წელს მომხდარა.

* * *

ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ექვსი თვის მანძილზე საკმაოდ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენის მოწმენი გავხდით, – გვითხრა ექსპედიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, არქეოლოგმა მერაბ ძნელაძემ. – ნაეკლესიარისა და ნამოსახლარების არსებობას მოწმობს ეკლესიაში და მის გარშემო ნაპოვნი ნაშთები, შენობათა კედლები, სამეურნეო ორმოები, მონეტები, მინისა და კერამიკის მრავალფეროვანი მასალა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური წარმოებისა. მონეტებიდან აღსანიშნავია: IX საუკუნის ქუფური ფელსი (ქ. მისრი), იოანე ციმისხის ბიზანტიური მონეტა (X ს), ჯალალედდინის 1226 წ. სპარსული საქალაქო სპილენძის მონეტა (თბილისი) XVI საუკუნის რუსეთის მონეტა ორთავიანი არწივის გამოსახულებით და სხვა. აღსანიშნავია ეკლესიის ინტერიერში ადრეულ ფენაში მიკვლეული ფრესკების ფრაგმენტები, რომლებიც სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ეკლესიის კედლის მოხატვა და ინტერიერში სამარხების გამართვა იმას ამტკიცებს, რომ იგი ქალკედონური იყო და ბიზანტიურ ეკლესიასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. რაც შეეხება მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას, მისთვის კედელთა ფრესკული მოხატვა ყოვლად მიუღებელი იყო დოგმატური თვალსაზრისით. კედლის მხატვრობა სომხეთში მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში ვითარდება, როდესაც მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დედაქალაქ ანისითურთ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედის (შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია). ამ ფაქტის განსაკუთრებულად აღნიშვნა იმიტომ დაგვჭირდა, რომ XIX-XX ს.ს. დროინდელი ზოგიერთი სომეხი მეცნიერი ორმეოც მოწამეთა ეკლესიას სომხურად მიიჩნევდა.

სომხური ეკლესიის ნანგრევებში ძველი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის – ორმეოც სებასტიელ მოწამეთას ნაშთები პირველად თბილისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაადასტურა (1979 წელს, ოთარ ტყემელაშვილის ხელმძღვანელობით). სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამ დრომდე ძეგლის სრულად შესწავლა ვერ მოხერხდა (ეკლესია და მისი მიმდებარე ტერტორია სამშენებლო ნაგავსაყრელ ადგილად იყო გადაქცეული).

შარშან ნაეკლესიარზე ექსპედიციამ მრავალი საინტერესო და ფასდაუდებელი სხვადასხვა დანიშნულების ნივთი აღმოაჩინა. მათ შორის – სანელსაცხებლე (IV – VI ს), სამელნე – სამარილე (XI ს), მოჭიქული ჭურჭლები (IX – XII ს.) დავითის ვარსკვლავის, ჯვრისა და სვასტიკის (ბორჯღალის) გამოსახულებები და ჯამები, ჭრაქები, გვიანი შუა საუკუნეების ორიგინალური ფორმის ჩიბუხები, მწვანე და ცისფერი კრამიტის ფრაგმენტები, ლომის გამოსახულებიანი ჭიქური ჭურჭელი, აგრეთვე მინის სასმისების ნატეხები. ეკლესიის კედლის გარეთ ნაპოვნია ქაშანურის ჭურჭელი; შუა საუკუნეებში სახელოსნოს არსებობაზე მიგვანიშნებს ცხენის რკინის ლაგამი, აქვეა თონეებიც...

მომავალში გაცილებით მეტის აღმოჩენაა მოსალოდნელი... სამუშაოების ბოლომდე მისაყვანად სხვადასხვა დარგის სპეციალისტების გულისხმიერება, ყურადღებაა საჭირო, რათა მართლმადიდებლური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა, რომლის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის მფარველი წმინდანის აბო თბილელის მოღვაწეობა და მარტვილობა, კვლავაც ჩვენი ქვეყნის მფარველი გახდეს.

**თეა ცაგურიშვილი.**



**სურათებზე:** ორმეოც მოწამეთა ეკლესია; აღმოჩენილი ექსპონატები.

**გოგი გიორგობიანის** ფოტოები.

# ეკონომიკა

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველკვირეული დამატება | № 14 (66) 18-19 აპრილი, 1999 წელი.

ბიუჯეტი

რით ვაპირებთ მის შევსებას, თუ მეჩაიეობის ასაღორძინებლად არაფერს გავიღებთ?

## მეჩაიეობის აღორძინება შემოსავლებს გაადიდებს

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მონაცემებით 1998 წელს საქართველომ სამამულო პროდუქციის საექსპორტო რეალიზაციით 194 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ვალუტა მოიზიდა. მასში გარკვეული წილი ჩაიზე მოდის – 5 პროცენტი. ეს მაშინ, როცა ათიოდე წლის წინათ, ჩაიზე და სუბტროპიკულ კულტურებზე ეროვნული შემოსავლის 20 პროცენტი მოდიოდა. მაგრამ დღეს მხოლოდ ეს როდია დამაფიქრებელი. ექსპორტის გზით ქვეყანაში შემოსული საფინანსო სახსრები ხუთჯერ ნაკლები იყო იმ ვალუტაზე, რომელიც შარშან საზღვარგარეთ გაედინებოდა სხვადასხვა საქონლის შესაძენად, მათ შორის, წარმოიდგინეთ, უცხოური ჩაის შემოსატანად.



კოოპერატივ „ინგირის“ მეჩაიეთა ბრიგადა (ხელმძღვანელი ბორის კვარაცხელია).

ფინანსისტები კი გვიმტკიცებენ, ქვეყანა რომ ეკონომიკურად სტაბილური გახდეს, აუცილებელია ექსპორტით მიღებული თანხები სჭარბობდეს იმპორტისთვის გაღებულ ვალუტას.

რამდენჯერ დასმულა კითხვა: რა ღონისძიებებს ახორციელებს ქვეყნის ხელისუფლება კრიზისში ჩავარდნილი მეჩაიეობის გადასარჩენად? ამ საკითხს „საქართველოს რესპუბლიკის“ 14-15 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში („თანხები გამოიყო, რას მოხმარდა?“) ნაწილობრივ შევეხეთ, მაგრამ სათქმელი და საწერი ჯერ კიდევ ბევრი რჩება.

1998 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციისთვის გამოყოფილ 3-მილიონიანი სუფსიდიის გამოყენების უფლების მოპოვებისთვის გამართულ ტენდერში გამარჯვებული ფირმების მესვეურები ამჯერადაც ოპტიმისტურად არიან განწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის ბიუჯეტში პარლამენტმა ვერ შეძლო დაპირებული სუფსიდიების გამოყოფა.

ფირმები „ქართული ჩაი“, „ბაკო“, „ჩაისუბტროპიკი“ და სხვები ახალი ხელშეკრულებების საფუძველზე რუსეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში, უკრაინაში, ჰოლანდიასა და აშშ-ში წელს 20 ათას ტონაზე მეტ ჩაის რეალიზაციას ვარაუდობენ. ეს კი, როგორც ფირმები გვიმტკიცებენ, ათეული მილიონობით ვალუტას შემოუტანს ქვეყანას, ხოლო აქედან, რა თქმა უნდა, კანონით დადგენილი წილი ჩაირიცხება ბიუჯეტში. ამჟამად აღნიშნული და კიდევ სხვა მრავალი ფირმა იმის მცდელობაში არიან, რომ გააფორმონ ხელშეკრულებები პროდუქციის შესაძენად, თუმცა, ყოველთვის როდი ახერხებენ ამას. მიზეზი? **მზა ჩაის უკმარისობა, მწვავე დეფიციტი.**

**ამ რამდენიმე წლის წინათ კი არ ვიცოდით ჩაი ვისთვის და რა ფასებში მიგვეყიდა.** იყო შემთხვევები, როცა 1992-1996 წლებში კილოგრამ ჩაის 10-15 კაპიკადაც ასაღებდნენ, მაშინ, როცა მისი წარმოება 3-4-ჯერ მეტი ჯდებოდა. ამან მეჩაიეებს გული აუცრუა მუშაობაზე, გაველანდა პლანტაციები, არის შემთხვევები მათი ძირფესვიანად ამოძირკვის, ათასობით ჰექტარზე ისინი ეკალ-ბარდით დაიფარა.

საბედნიეროდ, გვიან, მაგრამ მაინც დაიწყო დარგის აღორძინება, ქვეყნის პრეზიდენტმა გამოიყენა მის ხელთ არსებული ფინანსური საშუალებები და ისინი ჩაის წარმოების გაზრდისაკენ წარმართა. გამოიყო და მიზნობრივად დაიხარჯა მილიონობით სუფსიდია, უპროცენტო სესხი ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის. უცხოელი ინვესტორი – მარტინ ბაუერიც ჩაერთო ქართული ჩაის შელახული რეპუტაციის აღდგენაში, რომ იტყვიან, ყინულიც დაიძრა, მაგრამ დაბრკოლებები კვლავ მრავლადაა.

ქვეყანაში ჩაის პლანტაციებს კვლავ სოლიდური ფართობი უკავია – 40 ათასი ჰექტარი, მაგრამ აქედან **ჩაის ფოთოლი 1998 წელს მხოლოდ 18 ათას ჰექტარზე იკრიფებოდა.** დანარჩენი პლანტაციები მოითხოვს ძირეულ გარდაქმნებს, რისთვისაც აუცილებელია სახსრები, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოში ვერ გამოიძებნა.

**შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია. დარგი, რომელიც გამოცხადებულია პრიორიტეტულად, რომელსაც შეუძლია კაპიტალდაბანდებათა სწრაფი და გარანტირებული უკუგება, უსახსროდ რჩება. ფოთლის კრეფისა და მისი გადამუშავების სეზონი კარზეა მომდგარი და ჯერ ამ საქმისთვის არცერთი ლარი არ გაცემულა, არა თუ სუფსიდიის, არამედ პროცენტიანი კრედიტის სახითაც კი.**

მაშ, როგორ და ვინ შეიძენს სასუქებს, საწვავ-საპოხ მასალებს, რა სახსრებით მოხდება ჩაის ფაბრიკების შეკეთება, ტექნიკური გადაიარაღება, რა საშუალებებით გაიცემა ხელფასები, და ბოლოს, ვინ და რით შეავსებს ბიუჯეტს?

იხ. მე-6 გვ.

საწარმო

## ვის ეკუთვნის წიდასაყარი?

ჯერ კიდევ 50-იან წლებში საკავშირო მინისტრთა საბჭოს დავალებით „გიპრომეზის“ საქართველოს ფილიალმა შეიმუშავა პროექტი და იგივე მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირზე გამოიყო სათანადო ტერიტორია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წიდასაყრელად, სადაც ახლა „მაუი ბაზარია“ განლაგებული.

იმ პერიოდში ქარხანა აწარმოებდა ნახევარ მილიონ ტონა პროდუქციას წელიწადში და წიდასაყარზე წიდას ლითონის გარკვეული ნაწილი მიჰყვებოდა. ეს პროცესი განსაკუთრებით გაიდიდა 1965-85 წლებში, როდესაც ქარხანაში სილიკომანგანუმის წარმოება მკვეთრად გაიზარდა.

მაშინ მანგანუმის ნედლეულით მომარაგება ჭიათურიდან, თუ სხვა საბადოებიდან, რეგულარულად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიმდინარეობდა და გარდა წიდასაყრელისა, ეს ნარჩენები გაჰქონდათ საავტომობილო გზებსა და სარკინიგზო მაგისტრალებზე, იყენებდნენ საწარმო-დაწესებულებებში ეზოების მოსაპირკეთებლად.

მიუხედავად ამისა, სილიკომანგანუმის წიდებში ჩართული შენადნობის ამოსაღებად 1984 წელს ქარხანაში ამოქმედდა სეპარაციის უბანი, რომლის დანიშნულებაც იყო წელიწადში გადაემუშავებინა 0,4 მილიონი ტონა წიდა. გარდა ამისა, 1990 წელს ამუშავდა წიდის გადასამუშავებელი უბანი. ქარხანაში მაშინ წიდასაყრელს ოქროს მარაგს უწოდებდნენ.

არეულობის წლებში საქართველოში შექმნილი რთული სოციალური და ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, მოსახლეობამ წიდასაყარზე ქაოტურად დაიწყო ლითონის ნარჩენების მოპოვება და გატანა, იყო კონტრაბანდის ფაქტებიც.

შექმნილი ვითარების გამო რაიონის გამგეობამ მიიღო გაბედული გადაწყვეტილება, რომ ლითონის ნარჩენების გატანა მომხდარიყო ორგანიზებულად, რითაც ნაწილობრივ მოაგვარებდნენ მაშინ არსებული დასაქმების და ბიუჯეტის შევსების პრობლემას.

ამ მიზნით რაიონის გამგეობამ მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა მოეპოვებინათ და გაეტანათ წიდანარჩენები რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების ლიცენზიით, რაც განახორციელეს კიდეც.

პირველ ხანებში ეს პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდა, დასაქმდა კიდეც ასეულობით ადამიანი და რაიონის ბიუჯეტს საკმაოდ სოლიდური თანხა შეემატა. მაგრამ, შემდეგ ზოგი ორგანოს მიერ არასწორი ლიცენზიების გაცემის გამო დაიწყო სერიოზული გაუგებრობები. დააზიანეს სარკინიგზო ლიანდაგები, ჯებირსამაგრები, იყო ადამიანთა მსხვერპლიც.

ვის არ ნახავდით ამ წიდასაყარზე. რესპუბლიკის თითქმის ყველა ინსტანციიდან, ყველა სამინისტროდან და უწყებიდან მოჰქონდათ და მოჰქონდათ ლიცენზიები. აქ მთელი ერთი წელიწადი დაბანაკდნენ „მხედრიონის“ წარმომადგენლები, რომლებსაც სხვებთან ერთად ძვირფასი მადანი საზღვარგარეთ გაჰქონდათ ყოველგვარი აღრიცხვისა და გადასახადის გარეშე. ბიუჯეტში კი კაპიკიც არ შედიოდა.

ბოლოს და ბოლოს ამას წერტილი დაუსვა საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 7 მარტის ბრძანებულებამ, რომლის საფუძველზეც წიდასაყრელის მეპატრონედ გამოცხადდა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა. ყველას აეკრძალა, როგორც წიდასაყრელზე, ასევე სხვა ტერიტორიაზე ფეროს ნარჩენების მოპოვება და რეალიზაცია. ასევე აეკრძალა რესპუბლიკურ ორგანოებს ლიცენზიების გაცემა.

იხ. მე-6 გვ.

მშენებლობა

## ეს სამომავლოდ კეთდება

თუ რაიმე გადაარჩენს საქართველოს, ეს პერსპექტიული მშენებლობებია, ნავთობსადენის, აბრეშუმის გზის, ჩვენი ქვეყნის საავტომობილო დერეფნის მომავალთან რომაა დაკავშირებული.

ამ მხრივ კავკასიაში საქართველოს განსაკუთრებული როლი ენიჭება. მაგრამ ნავთობსადენი, გაზი, აბრეშუმის გზა ვერ იმოქმედებს თანამედროვე კავშირგაბმულობის კომუნიკაციების გარეშე.

სწორედ კავშირგაბმულობა იძლევა ევროპისა და აზიის სწრაფი დაკავშირების საშუალებას, რაც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია დიდი სამომავლო პერსპექტივისა.

ამ საშვილიშვილო საქმეს, ანუ ევრაზიის სინთეტიკური ბოჭკოვანი კაბელის მშენებლობას საქართველოში, აწარმოებს ფირმა „დეკა“, რომელიც ჩინეთიდან მოდის და ირანის, თურქეთის, ცენტრალური ევროპის გავლით, ინგლისს მიემართება.

სინთეტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მშენებლობას იმერეთ-სამეგრელოს რეგიონში აწარმოებს კომპანია „დონადი“, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ დონადი ლაგარია. კაბელი იდება მეტრი და ოცი სანტიმეტრის სიღრმეში და ჯერ ქვიშით იფარება, შემდეგ ინერტული მასალა იყრება. ეს სამუშაო მეტად ფაქიზი და შრომატევადია. აღსანიშნავია, რომ მშენებლობაზე დასაქმებულია 250 კაცამდე, რომელთა საშუალო ხელფასი 250-300 ლარს შეადგენს.

როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა დონადი ლაგარიამ განაცხადა, კომპანია სინთეტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მშენებლობას აწარმოებს საბერძნეთის დაკვეთით; ჩვენი მოვალეობაა ქუთაისის, სამტრედიის, სენაკის, ფოთის, ზუგდიდის მონაკვეთზე ჩავდოთ კაბელი. ვერ ვიტყვი ზამთრის პირობებში სახალისო იყო ღია ცის ქვეშ საქმიანობა-მეთქი, მაგრამ მექანიზატორები და მუშები დიდი ენთუზიაზმით შრომობენ ნებისმიერ ამინდში და ცდილობენ საქმე ხარისხიანად შეასრულონ. მათგან ზოგიერთს ექვსი-შვიდი წელია ქარხანასა და ფაბრიკაში არ შესულა. პირდაპირ რომ ვთქვათ, დანატრებული არიან მუშაობას, ამიტომ რაც შემიძლია ხელს ვუწყობ. მით უფრო, რომ საქმე მეტად ფაქიზია და ქვეყნისთვის აუცილებელი, ვინაიდან ერთდროულად შეუძლია ამ კავშირგაბმულობის საშუალებით ისაუბროს ერთმა მილიონმა კაცმა.



ღმერთმა აგაშენოთ, ამგვარი სამუშაო, რაც მეტი იქნება საქართველოში, მით უკეთესი მოსახლეობისათვის.

მქონდა საშუალება მენახა მიწის გათხრის და კაბელის ჩადების პროცესი. ვერ ვიტყვი, მექანიზაციის გამოყენების პირობებში რთული სამუშაო იყოს, მაგრამ მართლაც ფაქიზი საქმეა. თუ კაბელს სადმე მეტი სიმძიმე დააწვა, ის შეიძლება ჩაიჩუტოს და შემდეგ გამოსაყენებლად არ გამოდგეს.

აი, რას ამბობს მშენებლობის სამმართველოს უფროსი გოდერძი ძაძამია: „უკვე მესამე თვეა კაბელის ჩადებაზე ვმუშაობთ. არის სირთულეები, მაგრამ მექანიზატორები და მუშები საოცარი მონდომებით ეკიდებიან საქმეს. ჩვენ გვესმის რა აუცილებელ და მეტად საჭირო სამუშაოს ვასრულებთ, ამიტომ ვცდილობთ, რომ ინვესტორის დავალება პირნათლად შევასრულოთ, რადგან მშენებლობა მხოლოდ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების გამოსაყენებელი კი არა, ახლო მომავალში ამუშავდება და საქართველო ევრაზიის აქტიურ წევრ ქვეყნად იქცევა“.

კომპანია „დონადის“ ხელმძღვანელი დონადი ლაგარია ქველმოქმედი პიროვნებაა. მან ითავა სენაკის ცენტრში მშენებარე იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიისადმი დახმარება. ქვიშა თუ ინერტული მასალა საკუთარი ძალებით მიუზიდა, ამასთან გაუწია სხვა მატერიალური მხარდაჭერაც, რომლის მეოხებით ტაძარი უკვე გადახურვის პროცესშია.

ქვეყანას გაზიც სჭირდება, ნავთობიც, კეთილმოწყობილი გზაც, თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებაც და ეკლესიაც. ეს ქმნის სულისა და ხორცის გამთლიანების პირობებს.

უფალო, დაგვეიფარე! ბარაქა მიეცი ხალხს – ქვეყანა ეკონომიკურად გააძლიერე.

**ბორის დავითაია,**
მწერალთა კავშირის წევრი.

**სურათზე:** სენაკში ეკლესია შენდება.

## ბიუჯეტი

# მეჩაიეობის აღორძინება შემოსავლებს გაადიდებს

(მეხუთე გვერდიდან)

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ **ზუგდიდსა და ოზურგეთში მეჩაიეობის სპეციალისტებთან გამართულ ტრადიციულ ზონალურ თათბირებზე მწვავედ ილაპარაკა ჩაის კულტურის გადასარჩენად გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობაზე. მოიყვანა მრავალი არგუმენტი იმის თაობაზე, რომ თუ სახელმწიფო გაიღებს სახსრებს სუფსიდიის ან ხელმისაწვდომ პირობებში კრედიტების სახით, მეჩაიეები და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკები უზრუნველყოფენ გაწეული ხარჯების მაღალ ეკონომიკურ ეფექტს.**

შარშან საქართველოში მოიკრიფა 48 100 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ 14 000 ტონით მეტი, ვიდრე 1997 წელს. მაგრამ ეს მოცულობები თითქმის 10-ჯერ ნაკლებია იმ მაჩვენებლებზე, რომლებსაც მეჩაიეები აღწევდნენ 1989-1990 წლებში.

წელს, როგორც არ უნდა ძნელი იყოს ვითარება, **საქართველოში 55-60 ათას ტონამდე ჩაის მოკრეფას მაინც ვარაუდობენ.** ეს უკვე მიღწევაა, მაგრამ არასაკმარისი. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მსოფლიო ბაზარზე ქართულ ჩაიზე მოთხოვნილება უფრო მეტია და თუ ჩვენ მისი დაკმაყოფილება ვერ შევძელით, ამას სხვა ქვეყნების მეჩაიეები გააკეთებენ და ბაზარზე თავის ადგილსაც დაიმკვიდრებენ.

– ამის დაშვება შეუძლებელია, – გვაფრთხილებს შპს „ქართული ჩაის" გენერალური დირექტორი თამაზ კუნჭულია, – არ შეიძლება ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვება, ჩვენი ადგილი მსოფლიო ბაზარზე ჩვენვე უნდა შევინარჩუნოთ ჩაის ხარისხის გაუმჯობესებით და სხვა ციეილური ხერხებით.

ოზურგეთის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსმა ნოდარ ტაკიძემ კი გვითხრა: საქართველოში არ არსებობს კულტურა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ჩაი მაღალი შემოსავლიანობით, კაპიტალდაბანდების სწრაფი უკუგებით, რაც მთავარია, სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ბონდო ჯიქიას აზრით: **მიზანშეწონილია სახელმწიფოს მიერ მეჩაიეობის აღორძინებისათვის გამოყოფილი სახსრების განაწილებასა და ხარჯვაში უპირატესობა ადგილობრივ სტრუქტურებს მიენიჭოს. შარშან წლის ბოლოსთვის მხარეში გაუსტუმრებელი დარჩა ჩაისა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ხელფასები 1,2 მილიონი ლარის ოდენობით.** აქედან გამომდინარეობს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების მნიშვნელოვანი დავალიანებები, თვეობით გაუცემელი პენსიები და დახმარებები. ყოველივე ეს მიუთითებს მეჩაიეთა და გადამამუშავებელი დარგის მუშაკების შრომის გარანტირებული ანაზღაურების მექანიზმის არასრულყოფილებაზე. მომავალში ჩაის წარმოების ზრდისთვის მიმართული სახსრების აკუმულირება უნდა მოხდეს რაიონულ საფინანსო განყოფილებებში, იქიდან კი, შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, წარდგენილი კომისიური აქტების საფუძველზე გაიცემა უშუალოდ მეჩაიეებზე.

ბაკურ გულუა აცხადებს, რომ მეჩაიეობის, როგორც სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგის, აღორძინება დაიწყო და პირველი შედეგები უკვე სახეზეა. **მისი აზრით პროცესი შეუქცევადი იქნება.**

1996 წლის გაზაფხულზე ჩაის პლანტაციები დასალუპავად განწირული ჩანდა, მაშინ მათ გადასარჩენად პრეზიდენტმა ერთი მილიონი ლარი გამოყო. შედეგიც მივიღეთ, თუმცა, სესხის დაბრუნებაზე დღემდე არავის უფიქრია. ამიტომ შემდგომ სესხების გაცემის საშუალება არ იყო. პარლამენტმა გადაწყვიტა სატენდერო პირობებით სუფსიდიის გაცემა, წელს კი ამაზეც თავი შეიკავეს. გამოსავალი მაინც მოიძებნება, თუმცა, ძნელად. მანამდე კი საჭიროა ვიფიქროთ, კრედიტის დაბრუნების მექანიზმზე. **ის სააქციო საზოგადოებები, ფირმები, კოოპერატივები (საბჭოური კოლმეურნეობების, მეურნეობების და ფაბრიკების სამართალმემკვიდრეები), რომლებიც ვალებში ჩაფლულან და გადახდისუუნარონი არიან, ვერავითარ სესხებს და სუფსიდიებს ვერ მიიღებენ.**



კოოპერატივ „რუხში" კიდევ შემორჩათ ჩაის მექანიზებული გასხვლისა და კრეფის აგრეგატი.

მეჩაიეობის აღორძინების, მძიმე ვითარებიდან სწრაფი გამოსვლის ერთ-ერთი გზა – პლანტაციების საიჯარო კანონის საფუძველზე გაცემაა, რაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პრეროგატივაა. ახალი პლანტაციების იჯარით გადაცემის შემთხვევაში ფიზიკური და იურიდიული პირები სულ ცოტა, 5 წლით გადასახადებით არ უნდა იბეგრებოდნენ. განა ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება შეიძლებოდა? რატომ აქამდე არ ჩაბარდა ათასობით ჰექტარი პლანტაცია მზრუნველ პატრონს?

გულდასაწყვეტია, სოფლის მეურნეობა ეროვნული შემოსავლის 45-50 პროცენტს იძლეოდეს, მასზე იყოს დამოკიდებული ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა და მისი განვითარებისთვის ბიუჯეტში თითქმის არაფერს ითვალისწინებდნენ. ეს მაშინ, როცა სოფლის მეურნეობიდან და კვების მრეწველობიდან ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ათობით მილიონი ლარის მიღებაა ნავარაუდევი.

მოგაწვდით ერთ გაანგარიშებას, რომელიც შეგიძლიათ ჩათვალოთ სამომავლო ოცნებადაც. საქართველოს სოფლის მეურნეობის სრული განვითარებისა და რეკონსტრუქციისათვის ყოველწლიურად საჭიროა 2,5 მილიარდი ლარი, რაც რამდენიმე წელიწადში მხოლოდ კვების მრეწველობას 5 მილიარდი თანხის მოგებას მოუტანს, ხოლო 8 მილიარდს ბრუნვაში მოაქცევს.

ჩვენ კი ვსვამთ კითხვას: ვინ, როგორ და როდის განახორციელებს ამას?

**ამირან მითაგვარია.**

**ავტორის ფოტო.**

## საწარმო

# ვის ეკუთვნის წიდასაყარი?

(მეხუთე გვერდიდან)

ბოლო ხანებში ქარხნის ახალმა ხელმძღვანელობამ აამოქმედა სიმძლავრეები, შეაკეთა წლების მანძილზე მიტოვებული შენობა-ნაგებობები, ძირითადი და დამხმარე საწარმოები, პირველ, მეორე და მეოთხე საამქროებში კაპიტალურად გარემონტდა 11 ღუმელი, დამთავრების პროცესშია მეოთხე საამქროს კიდევ ერთი ღუმელის რემონტი, კეთილმოეწყო შიდა გზები და სხვა.

მუშაობამ ნორმალური ხასიათი მიიღო. დღეს რატომ არის აუცილებელი ქარხნისათვის წიდასაყარზე შემორჩენილი სილიკომანგანუმის ნარჩენები?

ამ კითხვაზე პასუხი გაგვცა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა დავით გველესიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მსოფლიო ფოლადების წარმოების მკვეთრ შემცირებასთან დაკავშირებით, შემცირდა მისთვის საჭირო და აუცილებელი კომპონენტის, ფეროშენადნობის გამოშვებაც. მსოფლიო გიგანტმა ფეროშენადნობთა მწარმოებლებმა: ნიკოპოლის, ელკემის (ნორვეგია), „სამანკორის" (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მასობრივად შეიძინეს მანგანუმის მადნის საბადოები ავსტრალიასა და აფრიკაში და კონკურენციიდან გამომდინარე, აუწიეს მადნების გასაყიდ ფასს. ამიტომ ქარხნის წინაშე დაისვა კონკრეტული ამოცანა, უნდა ეწარმოებინათ ისეთი პროდუქცია, რომელიც გაუძლებდა მსოფლიო ბაზარს. იმისათვის, რომ ჩავტეულიყავით თვითღირებულებაში, აუცილებელი იყო ადგილობრივი ნედლეულის მაქსიმალური გამოყენება. ქარხნის ტექნიკური ინტელიგენციის აზრის ძალისხმევით შემუშავდა ტექნოლოგიური რეგლამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის ზემოხსენებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მასში გათვალისწინებულია სილიკომანგანუმის წიდების გამოყენება ჭიათურის მადნებთან ერთად. სილიკომანგანუმის წარმოებისათვის საჭირო მანგანუმშემცველ ნედლეულში, ზემოხსენებულ წიდას 70 პროცენტი უკავია. აქედან გამომდინარე, კომენტარი ზედმეტია.

პრეზიდენტის განკარგულებიდან თითქმის სამი წელიწადი არავინ გამოჩენილა წიდასაყარზე. მაგრამ ბოლო ხანებში უამრავმა ხალხმა მოიყარა ისევ თავი ამ ადგილებში. აქ არიან ჭიათურის, საჩხერის, ხარაგაულის, თერჯოლის, ბაღდათის წარმომადგენლები და მოითხოვენ სამუშაოს. ძლივს იგერიებს ქარხნის დაცვა მათ შემოტევას. თავი წამოყვეს მაშინდელმა ფირმებმა, მათ შორის არის ყველაზე აქტიური შპს „საირხე".

„საირხეს" მესვეურები იურიდიულ დოკუმენტებს იშველიებენ, რომლებიც აბსოლუტური სიზუსტით აქვთ შედგენილი. მათ წარმოადგინეს მათზე დროებით სარგებლობაში გამოყოფილი „შავი ბაზრის" ტერიტორიის გამოყოფის საბუთი, რომელზეც წლების განმავლობაში გადახდილი აქვთ გადასახადი, აქვთ პრეფექტის ხელმოწერილი დოკუმენტი „ღია ბაზრის" ობიექტის მოწყობის თაობაზე. აქვთ სხვა საბუთებიც. აქვთ; აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თამაზ აქუბარდიას წერილი „საირხეს" ხელმძღვანელის დათო ხუსკივაძის სახელზე, რომელსაც აქუბარდია აცნობს, რომ პრეზიდენტის 1995 წლის 7 მარტის № 57 და 1996 წლის 11 აპრილის № 270 ბრძანებულებები შეიძლება ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად უფლება გაქვთო, სათანადო ლიცენზიის საფუძველზე თქვენ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობზე მოიპოვოთ მეორეული სილიკომანგანუმი და მოახდინოთ მისი რეალიზაციაო (მათ შორის, მოახდინოთ მისი ექსპორტი).

ჰოი, საკვირველებავ! სად ვეძებთ კორუფციის ფაქტებს და თურმე საიდან მომდინარეობს. როგორც ეტყობა კანონიც კი მიუღიათ ამის თაობაზე. საკითხავია ასე ცალმხრივად, ამ უზარმაზარი კოლექტივის დაუკითხავად როგორ მიიღეს ასეთი კანონი? ასეთი კომპანიები, სამწუხაროდ, იყენებენ პრესასაც, სადაც აგრეთვე, ცალმხრივად არის ასახული რეალური ვითარება. აწყობენ უვადო შიმშილობას და სხვა ღონისძიებებს. როგორც ჩანს, ასეთი ელემენტები კარნახობენ მთავრობის წარმომადგენლებს, როგორ მოიქცნენ.

სულ ახლახან შედგა ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობის შეხვედრა „საირხეს" თავკაცებთან, სადაც მათ გარკვევით განუმარტეს შექმნილი ვითარება, რასაც ისინი არ დაეთანხმნენ. ეს მაშინ, როცა კარგად ახსოვთ დეტალი, სადაც ნათქვამია: „ქარხნის ხელმძღვანელობის პირველი მოთხოვნისთანავე წიდასაყარის ტერიტორია უნდა განთავისუფლდეს".

როგორც ქარხნის დირექტორმა ვახტანგ ასლანიკაშვილმა განმარტა, წიდასაყარი არის მხოლოდ ქარხნისა და სახელმწიფოს კუთვნილება. შარშან გადავამუშავეთ 130 ათასი ტონა წიდა. ამ პროცესს კვლავ გავაგრძელებთ. ჩვენს გარდა, წიდას რესპუბლიკაში არავინ გადაამუშავებს. გვინდა გამოვიდეთ შექმნილი მდგომარეობიდან, ჭიათურის მადანთან წიდების შერევით ვიღებთ პროდუქციას, რომელიც მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს უპასუხებს. წიდის გამოუყენებლობის შემთხვევაში ქარხანა გაჩერდება.

გვინდა დავამატოთ: ფეროს პროდუქციით რეალიზაციიდან ამონაგები წელიწადში 19 მილიონ დოლარს შეადგენს, რომლის 60 პროცენტი კონვერტირდება რესპუბლიკის შიგნით ხელფასების, გადასახადების და მასალების შესაძენად. ქარხანას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ლარის კურსის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში.

წლეულს ფეროს დაგეგმილი აქვს რაიონის ბიუჯეტს გადაურიცხოს 1963 ათასი ლარი. ქარხნის წარმადობა დღითიდღე იზრდება, იზრდება შემოსავლებიც. შარშან ამ საწარმოში დასაქმდა 328 მუშა. ქარხნის წიდების გამოყენების აუცილებლობას მოითხოვენ რაიონის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში თეიმურაზ შაშიაშვილი. ასეთია საერთო აზრი.

**ჰენრი შარიძაძე.**

## ტურიზმი

# დიდი ტურისტული ბაზრობა თბილისში

საქართველოს კურორტების, ტურიზმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, მაგრამ ამ საქმეს ახლა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, უფრო მოქნილად და საღად უნდა მივუდგეთ.

ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა შუბლაძემ მასმედიას ამცნო 22-25 აპრილს საერთაშორისო კავკასიური ტურისტული ბაზრობის გამართვის თაობაზე. როგორც მან განაცხადა, ბაზრობაზე მონაწილეობის სურვილი უკვე სხვადასხვა ქვეყნების 56 ფირმამ გამოთქვა. სტუმრად ჩამოსული დელეგაციები გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის ტურისტულ შესაძლებლობებს, დაათვალიერებენ მდიდარი წარსულის მქონე ძვირფას კულტურის ძეგლებს. ამასთან, ბაზრობაზე გამოიფინება ადგილობრივი წარმოების აევჯი, თითქმის ყველაფერი ის, რაც სანატორიუმებსა და დასასვენებელი სახლების კეთილმოწყობისათვის არის საჭირო.

საერთაშორისო კავკასიური ტურისტული ბაზრობის მოწყობის ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზეზვა ღულუნიშვილმა გააკრიტიკა ზოგი სანატორიუმის დირექტორი, რომლებიც, მისი თქმით, მხართეძოზე წამოწოლილი ელოდებიან, როდის შეაღებს კარს სტუმარი. ამას შრომა უნდა, ახალი ურთიერთობების დამყარება, რაც დამსვენებელთა მოზიდვას შეუწყობს ხელს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, აუცილებელი გახდა საერთაშორისო მასშტაბით ამიერკავკასიის ქვეყნების ტურისტული პოტენციალის სხვებისთვის გაცნობა. სასიხარულოა, რომ ბაზრობაზე კავკასიის ხალხთა 12 ქვეყნის წარმომადგენელი ჩამოვა.

როგორც პარლამენტარმა მამუკა არეშიძემ თქვა, საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობას საერთო კავკასიური ჟღერადობა მიეცა, ბევრი კეთდება კავკასიის ხალხთა საერთო სივრცის შესაქმნელად, ამ ხალხების დაახლოებისათვის. ბაზრობის დღეებში, 23 აპრილს თბილისში გაიმართება კავკასიის ხალხთა კონცერტი, აგრეთვე, სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, სადაც განიხილავენ კავკასიის მხარის საკურორტო ზონის განვითარების საკითხებს.

საგამოფენო პავილიონი მზად არის საერთაშორისო ტურისტული ბაზრობის მაღალ დონეზე მოწყობისათვის თქვა გამოფენა „ექსპო-ჯორჯიას" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ კახა გველესიანმა, იგი პირველი საერთაშორისო გრძელვადიანი პროექტის დასაწყისად ითვლება, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ტურისტული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისათვის. ამგვარი ბაზრობა თბილისში მომავალ წლებშიც გაიმართება. იგი ერთგვარ ცენტრად გადაიქცევა. ეს ყოველივე მისასალმებელია, ოღონდ დასანანია, რომ საქართველოს ზოგიერთი კუთხე ვერ ახერხებს მონაწილეობა მიიღოს ამ დიდმნიშვნელოვან ბაზრობაზე.

**ლალი ქინქლაძე.**

საredaქციო საბჭო:

თემურ ბასილია (საბჭოს თავმჯდომარე), ელგუჯა ლებანიძე, თამაზ მაღლაკელიძე, რუსლან რუსია, ზურაბ ტყემალაძე, ნოდარ ჟითანავა, ოთარ ხუციშვილი (რედაქტორი), ვახტანგ გელაშვილი (ტექნიკური რედაქტორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატო ნაცად ტაქტიკას მიმართავს



სახმელეთო, საჰაერო და თანამგზავრული დაზვერვის შეთანხმებული მოქმედება, აგრეთვე, უპილოტო საფრენი აპარატების „პრედეიტორისა“ და სადაზვერვო-დამრტყმელი კომპლექსის „დისტარსის“ გამოყენება ნატოს ავიაციას საშუალებას აძლევს, ბომბ-სარაკეტო დარტყმები სერბეთისა და კოსოვოს ტერიტორიას მოღრუბლულობის პირობებშიც მიაყენოს. ეს განაცხადა აშშ შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა ჩარლზ უოლდმა.

ასეთი ტაქტიკა ნატოს გაერთიანებულ საჰაერო ძალებს არაერთგზის დაუხვეწავთ ერთობლივი წვრთნის დროს და ახლა მისი გამოყენება შეუძლიათ ბლოკის მონაწილე ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებს.

ამასთან, იერიშის მონაწილე ერთ-ერთი დამრტყმელი თვითმფრინავი გამოიყენება სამიზნეზე გამყვანად და, როგორც წესი, არა აქვს შეიარაღება. სწორედ ასე დაიბომბა სიენიცას აეროდრომი. ორმა F-16 თვითმფრინავმა ისარგებლა ღრუბლებშუა გაჩენილი მცირე ღიობებით და აეროდრომის მიდამოებში ჩამოყარა ლაზერულსამიზნიანი ავიაბომბები. მიზნის ლაზერებით განათება ხორციელდებოდა მესამე გამანადგურებლის ლაზერული მიზანმიმმართველით.

ცალკეულ შემთხვევებში ლაზერული იარაღისათვის მიზნის ჩვენების ამოცანის შესრულება შეუძლია თვით გამანადგურებელ-ბომბდამშენს, როგორც ეს კოსოვოს სამხედრო ყაზარმების დაბომბვის დროს მოხდა. ლაზერულსამიზნიანი ავიაბომბები F-16 თვითმფრინავიდან ღამით ჩამოყარეს. გენერალ-მაიორის თქმით, კინოგადაღების კადრებში ჩანს, როგორ ხორციელდებოდა სამიზნეების განათება. ლაზერებით სამიზნეების წარმოჩენას 6 წამი დასჭირდა, რის შემდეგაც ჩამოყარეს ბომბები.

ასეთივე ტაქტიკა გამოიყენება CBV ტანკსაწინააღმდეგო კასეტური ჭურვების მეშვეობით ჯავშანტექნიკის გასანადგურებლად. კერძოდ, ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა იუგოსლავიის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების დაწყების შემდეგ პირველად შეძლეს გამოეყენებინათ კასეტური ჭურვები და 454 კგ კალიბრის ავიაბომბები დაბალი მოღრუბლულობის პირობებში.





ამერიკული წარმოების სპეციალური ტანკსაწინააღმდეგო თვითმფრინავი.

# ისრაელმა ლიბანის სოფელი დაიკავა



ისრაელის ჯარებმა დაიპყრეს სოფელი არნუნი ლიბანის სამხრეთში, რომელიც თელ-ავივის მიერ გამოცხადებული უსაფრთხოების ზონის ფარგლებს გარეთ მდებარეობს. თვითმხილველთა თქმით, ჯარისკაცებმა სოფელში აღმართეს ბარიკადა და მას მავთულხლართი შემოავლეს. დაკავებულია რამდენიმე ლიბანელი მოქალაქე. ეს ნაბიჯი გადადგეს „ჰესბოლას“ მოძრაობის ბოევიკთა მოქმედების საპასუხოდ, რომლებმაც ორშაბათს ამ სოფლის მახლობლად ისრაელი ჯარისკაცი მოკლეს. ტელევიზიით გამოსვლისას ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ბოლოს მოუღებს „ჰესბოლას“ მუქარას. ლიბანის პრემიერ-მინისტრმა სალიმ ხოსემ გაეროს მიმართა თხოვნით, დაუყოვნებლივ ჩაერიოს.

# ბჰუტო ბრალს სდებს თავის მოწინააღმდეგეებს



პაკისტანის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბენაზირ ბჰუტომ გულისწყრომით დაგმო სასამართლო გადაწყვეტილება, რომელმაც ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა კორუფციის ბრალდებით. ბი-ბი-სისადმი ინტერვიუში მან განაცხადა, რომ სასამართლო პროცესიც და განაჩენიც ნამდვილი დანაშაულებრივი შეთქმულებაა. ბჰუტოს, რომელიც ამჟამად ლონდონში იმყოფება, განზრახული აქვს, შეიტანოს აპელაცია პაკისტანის უზენაეს სასამართლოში. მაგრამ საქმე ის არის, რომ მას სამშობლოში ჩახვლისთანავე დააპატიმრებენ. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბჰუტოს აეკრძალა სახელმწიფო პოსტების დაკავება და დაევალა, გადაიხადოს რვა მილიონი დოლარი ჯარიმა. მის ქმარს – ასიფ ზარდარის, რომელიც სხვა ბრალდებით არის დაპატიმრებული, კიდევ ხუთი წლის ვადა დაუმატეს.

# ამერიკელები მეორე ვიეტნამს მიიღებენ

**თუ ამერიკა თავის სახმელეთო ჯარებს შეიყვანს იუგოსლავიაში, ისინი მეორე ვიეტნამს მიიღებენ, დარწმუნებულია მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი.**

ესაუბრა რა ჟურნალისტებს, ლუჟკოვმა აღნიშნა, რომ ამერიკელების შეჭრა კოსოვოში უბიძგებს რუსეთს მოხსნას ემბარგო იუგოსლავიისათვის იარაღის მიწოდებაზე, რაც თავისთავად უარესად დაძაბავს ვითარებას რუსეთსა და ამერიკას შორის და არ გამორიცხავს მათ შორის „პირდაპირ შეტაკებას“.

მერი თვლის, რომ იუგოსლავიის კონფლიქტი უკვე აღარავისთვისაა ხელსაყრელი, მათ შორის, არც ნატოსა და აშშ-სათვის.

# ნატო არ აპირებს სახმელეთო ჯარების შეყვანას კოსოვოში

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ ნატოს არავითარი გეგმა არ გააჩნია კოსოვოში სახმელეთო ჯარების შესაყვანად. მისი სიტყვები აბათილებს ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის ჯორჯ რობერტსონის ამასწინანდელ განცხადებას, იმის შესახებ, რომ სახმელეთო ომის გეგმა დამუშავების სტადიაში იმყოფება.

თუ ადრე ნატო იმუქრებოდა სახმელეთო ომით, – აღიარა პრემიერ-მინისტრმა, ახლა ეს საკითხი ასე არ დგას. საჭიროა დიდი დრო ძალთა კონსოლიდაციისათვის, ასე რომ, სახმელეთო ომი ამ დროისათვის გამორიცხულია, – დასძინა ტონი ბლერმა.

# იპარავენ...

მსოფლიოში გავრცელდა ახალი მოდა – გენერლების მოტაცება. ჩეჩენთა შემდეგ ფილიპინელმა მეამბოხე კომუნისტებმა გენერალი გაიტაცეს. ხოლო, ვინაიდან ფილიპინის ხელისუფალნი ადგილობრივ გენერალთა მოტაცებას რუსებზე უფრო მკაცრად უყურებენ, დახოცეს რამდენიმე ათეული მეამბოხე კომუნისტი და დაჭრეს ამდენივე. კომუნისტებისა და მთავრობის მშვიდობიანი მოლაპარაკება ჩაიშალა. ყველაფერი გასაგებია, ერთის გარდა: რაში დასჭირდათ კომუნისტებს გენერალი?.. ისინი ხომ ადამიანებით არ ვაჭრობენ.



# ხელოვნება – მასებს!

მხატვრული მანიკიურის მოყვარულთათვის მხატვარმა კრისტინა დევიდმა გამოიგონა დასაწებებელი ფრჩხილები, რომლებზეც სალებავის გაფრქვევით ახატავენ სხვადასხვა განთქმული პიროვნებების, მაგალითად, მონა ლიზას, მერილინ მონროს თუ ბავარიის მეფის ლუდვიგის პორტრეტებს. და მთელი ეს სიამოვნება ღირს რაღაც 56 დოლარი. ოღონდ, ერთი ფრჩხილი.

# შეიქმნა საიდუმლო ინფორმაციის დაცვის კომიტეტი

პრემიერ ეჟი ბუზეკის თავმჯდომარეობით ვარშავაში გაიმართა საიდუმლო ინფორმაციის დაცვის კომიტეტის პირველი სხდომა. მთავრობის საინფორმაციო ცენტრის კომუნიკეში ნათქვამია, რომ სხდომაზე განიხილეს საიდუმლო ინფორმაციის დაცვის კანონის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და ისეთი პრობლემები, რომლებიც ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადმინისტრაციის საქმიანობისა და კომპეტენციის სფეროში ამ კანონის დებულებების შესრულებას.

ბუზეკმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ასეთი ინფორმაციების საიდუმლოების დაცვისათვის პასუხისმგებლობა განსაკუთრებით ეკისრებათ იმ სამსახურების ხელმძღვანელ კადრებს, რომელშიც იგი იქმნება, მუშავდება, გადაიცემა ან ინახება. სახელმწიფო სამსახურებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა უნდა შეიგნონ, რომ საიდუმლოებების დაცვას უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.

კომიტეტში შედიან მისი თავმჯდომარე, პოლონეთის პრემიერი ეჟი ბუზეკი, კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვიცე-პრემიერი იანუშ ტომაშევსკი, მეორე მოადგილე – ეროვნული თავდაცვის მინისტრი იანუშ ონიშკევიჩი, აგრეთვე უწყება-სამინისტროების ხელმძღვანელები.

# ბი-ბი-სი აწყობს გადაცემებს ლტოლვილებისათვის

ბი-ბი-სის მსოფლიო სამსახური შეუდგა რეგულარული ტრანსლაციის სერიას, რომლის მიზანია, დაეხმაროს კოსოვოელ ლტოლვილთა დაქსაქსულ ოჯახებს, განუწყვეტლივ რომ ჩადიან მეზობელ ალბანეთსა და მაკედონიაში. თავის მხრივ, შეერთებულმა შტატებმა ლტოლვილებს



აღუთქვა, რომ მათ ბანაკებს მოამარაგებს მობილური ტელეფონებით და დააკავშირებს ინტერნეტთან, რათა აპოვნინოს ლტოლვილებს ოჯახის წევრები. ამასობაში კი მაკედონია შეშფოთებას გამოთქვამს ლტოლვილთა მოზღვავების გამო. რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ვერ აუვა მომდევნო ნაკადს და სხვა ქვეყნებს მოუწოდა, შეეხიდონ მაკედონიას.

# ერაყს ახალ დარტყმებს აყენებენ



ამერიკისა და ბრიტანეთის სამხედრო თვითმფრინავებმა კვლავ მიაყენეს დარტყმები ერაყის საჰაერო თავდაცვის არტილერიის პოზიციებსა და რადარულ სადგურებს სამხრეთის ზონაში, სადაც აკრძალული აქვს ფრენა ერაყის ავიაციას.

# აღმოაჩინეს ახალი მზის სისტემა

ამერიკელი ასტრონომები აცხადებენ, რომ მათ გალაქტიკაში აღმოაჩინეს პირველი მზის სისტემა, რომელიც ჩვენსას წააგავს. მათ აღმოაჩინეს სამი პლანეტა, რომლებიც ეფსილონ ანდრომედას



ვარსკვლავის ირგვლივ ბრუნავენ, დედამიწიდან ორმოცდაოთხი სინათლის წელიწადის მანძილზე. აქამდე იდენტიფიცირებული იყო მხოლოდ ერთი პლანეტა. ორი სხვა იუპიტერს წააგავს. ისინი აირგროვებს წარმოადგენენ და დედამიწაზე რამდენიმე ასეულჯერ დიდი ზომისანი არიან. ბი-ბი-სის მეცნიერების განყოფილების კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მზის სისტემის მეტისმეტი დაშორების გამო შედარებით მცირე ციური სხეულები უბრალოდ ვერ მოხვდა ასტრონომთა თვალთახედვის არეში და ამიტომ სავსებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ იქ არის დედამიწის სიდიდის პლანეტები.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით.**

**გვერდს უძღვებიან არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№100-101. კვირა-ორშაბათი. 18-19 აპრილი. 1993 წელი.

## დაუბეჭდავი წიგნიდან

# კუდიანი ვარსკვლავი

## ფრაგმენტები რომანიდან

რეზო ჭეიშვილი



**დავამთავრე „კუდიანი ვარსკვლავი“ (პოლიტიკური დეკამერონი). გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს ვთავაზობ ხუთ პატარა ამბავს ზემოთნახსენები წიგნიდან, რომელსაც გამოსცემს გამომცემლობა „მერანი“**

**რ. ჭ.**

1) **აგრანომი ქალი იყო ნათლიაჩემი.** როდის მომნათლა (მომნათლა კი?) არ მახსოვს.

აბა, ჩემო:

...დამიჭირეს, რაკარც მერე მივხვდი, ჩემი ძმის თაობაზე. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, დაპატიმრებულია თურმე ისიც, მე რა ვიცი, მამია ორახელაშვილს ხომ იცნობო, პირველად ეს მკითხეს: არ ვიცნობ, მე ვუთხარი, დაფიქრდი კარგადო... შენ გაინტერესებს ეს ამბები? დეიმახსოვრე აბა, მე ქე ვკვდები, აღარ მიდგია სული, ხომ მატყობ. საქმე ყოფილა ამნაირად... ის შუშა მომაწოდე, წამალია, უნდა ჩავისუნთქო, მაგი მშველის, სად გაეჩერდი? გამომართვი ჯერ ეს, დადევი, მადლობთ. მწერლები და არტისტები, სხვები დააჯილდოვეს და ჩემ ძმას არაფერი არ მიანიჭეს. სტუმრად არიან თურმე სანდრო შან-შთან ჩემი ძმაა, ბესოა... ვინ იყო კიდო აღარ მახსოვს, ადრე ქე ვიცოდი. ერთს ეკითხა, შენ, კოლია, რატომ არაფერი გიბოძესო, რატომ არ დაგაჯილდოვა ბერიამო. ერთი ბერიას დედაცო, შეუგინებია. ნასვამი ყოფილა. მერე ქე ინანა, ალბათ, მარა რაღა დროის, პირიდან ამოსულ სიტყვას პირში ველარ ჩააბრუნებ. დაასმინეს დილითვე. მასპინძელმა ყველას დაასწრო, თქვა თეითონ, არ დაუმალია. ასე რომ არ შექნაო, დამასწრებდნენ და პასუხს მე მომთხოვდნენ, გამაფუჭებდნენ, ციმბირს უკან დამატოვებინებდნენო. რას ეტყვი, ქე გადეირჩინა თავი. ჩემი ძმა გააქრეს, მიაყოლეს ცოლი მისი, ის ქე დაბრუნდა, თუ არ მომკვდარა, ცოცხალი იქნება. პატარები დაიზარდნენ, კარგად არიან, კარგად ამყოფოთ გამჩენმა! გადავარდი თბილისში ამ ამბის გაგებაზე. დედაშენი რავაა, ბიჭო, ხოა კარგად, ვერ მოვედი ერთი... ჩაველი თბილისში და წამიყვანეს. ჩემთან რაღა უნდათ, მე ვიფიქრე. მამია ორახელაშვილს ხომ იცნობდიო, საქართველოს მთავრობის ყოფილ თავმჯდომარესო. არა, მე ვეუბნები. ხატი, რჯული. დაწერე მაშინ, რომ იცნობდიო. გამიშალეს ქაღალდი წინ, დამიდეს მელანი, საწერკალამი... დაწერე მამია ორახელაშვილის შესახებო. რა დავწერო, არ ვიცნობ, რა ექნა, რა წყალს მივცე თავი. შენ ძმას ხო იცნობო, გაახსენდათ რავარცხა იყო. შენი ძმა საფრანგეთიდან რომ დაბრუნდა, პირველად მამია ორახელაშვილს ესტუმრა, ხომ გახსოვსო. არ მახსოვს, მარა ესტუმრა ალბათთქვა. პოდა, ეს დაგვიწერეო, არ აჩქარდე, არ აღელდე, ყველაფერი გულახდილად მოგვითხრეო. ვიფიქრე, რა ღვთისნიერი კაცი ჩანს, დავწერ, გაიგებს. ვწერ, როგორაა საქმეო, დამხედა ცოტა ხნის შემდეგ, ჩაიკითხა ჩემი დაწერილი და მოექცა ყბა, ქალო შენ ფაცია ხარ თუ ვიღაცა ხარ, რას წერ, რას მიედ-მოედები; ვის პატიოსნებაზე გაქვს ყურადღება გამახვილებულიო. შენი ძმა მავნებელი, ტერორისტი, ტროცკისტების თანამზრახველი იყო, ბელადების მოკვლას აპირებდნენო.

მათხოვე მაგ ქაღალდი...

გამომართვა და დამახია თავზე, მომცა მეორე. ბეჭედ-გერბიანს გაძლევ და არ გამიფუჭო, თვარა ტყავს გაგაძრობთ ცოცხლადო. არ დავწერ, მე ვუთხარი, ჩემ ძმას ქათამი არ დაუკლავს მის სიცოცხლეში და სტალინისა და ვოროშილოვის მოკვლას რაფრად დააპირებდა, რაღაცა გეშლებათ თქვენთქვა... შემოვიდეს შუშანა, ამასთან ლაპარაკის თავი არა მაქვსო, განერვიულდა ის კაცი. მათხოვე მაგ შუშა, იმაზე გამახსნელა, დედაშენი ხოა კარგად, გამომართვი. მოვიდა შუშანა, დამაცლო თმაში ხელი, დამითრია, გამახოხიალა ზურგით დერეფანში, ჩამაგდეს სადღაც ჯურღმულში. მომაკითხეს მეორე თუ მესამე დღეს, გამიყვანეს. დღე მეგონა, შუაღამე ყოფილა. შევედი, სხვა დამიხვდა. დაბრძანდითო, სკამი გამომიწია. მამია ორახელაშვილს ხომ იცნობდიო. არ ვიცნობდი. აეყევი ნერვებს, ამივარდა კანკალი, ვიყვირე, ვიწიველე, დაუძახეს ისევ შუშანას, დამავლო თმაში ხელი, გამათრია პოლზე თავის ხათქახუთქით. ჩემ იმაში სხვა ქალი დამიხვდა, მომიარა, დაწერე, თუ არა, არაფერი გეშველებაო, მირჩია. არ დავწერე. ნაცემს და ნაჩოჩიალებს დამეძინა, თვალი როცა გავახილე, ქალი ველარ ვნახე. დავრჩი მარტო, დავრჩი კი არა ჩავრჩი. ჩამტოვეს. დამეწყო შიშები. ვკივივარ, ვწივივარ. რას უძლებს ეს ქალიო, ვიღაცის ლაპარაკი მესმის გარედან; კვნესის, ტირილის, ბავშვის ჩხავილის ხმები ჩამოდის, მე რო გავჩერდები. გველი შემოყოფს თავს ხვრელიდან. გველი, უნასი, ასვარსვალებს ორკაპ ენას, უიმე, დედა, წამივა გული, გველს ქე ვგრძნობ, მისობს ენას... არ გჯერავს შენ? შეიძლება ხელოვნური გველი იყო, ელექტრონის... ხმაური რომ დაიწყებოდა, კლიტეების რაჩხარუჩხს რო გევიგონებდი, მაშინ მივეგდებოდი, მარა აღარ ვჩანდი თურმე, ისე დავილიე. ზედამხედველს თურმე ძონძი ვეგონე, სად წავიდა ეს კვტარძალლიო, ხმა გავიგონე. აღარ ვიყავი და რაღას დამინახავდა. დროის ანგარიში, დღე და ღამის სათვალავი ამერია. გავახილე თვალი, ძმა მადგას თავზე, მიყურებს. მოაწერე ხელი ყველაფერზე და დამთავრდება შენი წამებაო. გამხდარი იყო, ბიჭო, გაუცინარი, ახლაც ცრემლი მომდის. ძმის სული იყო. სული გამომეცხადა ლილისფრად. მივხვდი, მოკლეს და გავქვავდი. მერე აღარ მახსოვს. მომეცით ქაღალდები, ყველა ქაღალდი. ხელი უნდა მოვაწეროო. ვაწერ. მხოლოდ ცხადში ხდება თუ სიზმარში, ვერ ვხვდები. უცებ სხვა ოთახში ვარ. რას აწერ ხელს თუ იციო, ვიღაც მეკითხება. სულერთია, მე ვეუბნები, რასაც გინდათ, იმას მოვაწერ. კაიო, მითხრა, ენა გამოწიე მაინც, დაგხედავო. მერე იყო და დამაბანინეს, მაჭამეს. დედაშენი ხოა კარგად, კი ხო? გამიყვანეს. ერთ დიდ გაბჟღერიალებულ დარბაზში შემიშვეს. მუსიკის ხმა მოდის. კარგადა ვარ. მთელი უფროსობა იქაა, გენერალი მეკითხება, წითელი შარვალი აცვია და მივხვდი, გენერალია: მამია ორახელაშვილს ხომ იცნობდიო. მე ვეუბნები, შე კაი დედმამიშვილო, მამია ორახელაშვილს თქვენზე უკეთესად ვინ იცნობდა, დღე და ღამე უკან დაყვებოდით, მე ერთხელ ენახე პარადზე, შეიქნა ჩოჩქოლი, გადახედეს ერთმანეთს. ერთი სათვალიანი კაცი წამოვიდა წინ, თურმე ექიმია. ესო, დანარჩენებს ეუბნება, მართლა აფრენს, კი არ იგონებსო. მაშინ შემდეგიო, გენერალმა დაიძახა.

მღვდელთან რომ მიდიოდი, საკურთხი რომ მიმქონდა, შენ რო გთხოვე, შემყევითქვა, რომ არ შემომყევი, არ გახსოვს?

კი მახსოვდა.

მღვდელი ცხოვრობდა მართლაც უბანში, ღობეშემორღვეულ ეზოში. სამი-ოთხი სახლი იდგა ერთ ალაგზე. მღვდელი აივნიან ბინას აფარებდა თავს. გარეთ არ გამოდიოდა. შავად გაილანდებოდა დროდადრო აივნის სვეტებსა და ბირკვილებს იქით. მზეს ემალებოდა თუ ხალხს, არ გამირკვევია, მღვდელიც აღარ დამინახავს მეორე ზაფხულს. ეკლესიის ბოქლომს აბლაბუდა ედო. მღვდელი მაშინ ჰაერს ყნოსავდა ფართო ნესტოების ბერვით, საყდრის გასაღების დრო არ მოდიოდა. ლოცვის კარზე აღარავინ ედგა, მაგრამ მოსაკითხი მოჰქონდათ ხანდახან კურთხევის სამაგიეროდ შაოსან დედაკაცებს.

თავზე დამადო კაცის ხელი ვიღაცამ. ავიხედე ფაციაა. კიბის ქვაზე დაფხაჭნილ დიაგრამაზე „სამკუთხედს“ ვთამაშობთ კენჭებით, შუშის ნატეხებით. მიყურებს, მიცინის, ხელში ნაჭრის ტომსიკა უჭირავს.

— რავაა, ბიჭო, ვერიჩქა, ერთი ვერ გამოვიარე, ახლა მღვდელთან შემაქვს საკურთხი, შენ რავა ხარ, ხო ხართ კარგად?..

— კი. — სულაზე ვფიქრობ. — მღვდელი იქ ცხოვრობს, იმ ეზოში...

—, შემყევი მერე, რა იქნება!..

რა შეყოლა უნდა, უჩემოდ ვერ მიაგნებს ვითომ.

— მღვდელი ეგერ ცხოვრობს, პირველი, მეორე, მესამე სახლში, ქალბატონო, — აუხსნა ღობეს მომდგარმა მოსახლემ, რომელიც ჩვენს ლაპარაკს უგდებდა თურმე ყურს.

— ვიცი, ბატონო, სადაც ცხოვრობს... — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოთ ფაციამ და წავიდა.

— გახსოვს?

მახსოვდა. იმ დანაშაულს მაინც ველარ გამოვისყიდი და ნუ გამახსენებ, შე კაი ქალო!

მალე გარდაიცვალა. სოფელში დამარხესო, მითხრეს.

იშვიათი ფორმის, სიდიდის, უხნესი ცაცხვის ასაზომად ავედით ჯვარისაში. თავსაფრით თავპირწაკრული ქალი საფლავებს ასუფთავებდა ცაცხვებქვეშ, ყვითელ ნეშოს აგროვებდა შარიშურით.

— ქალბატონო, ფაციას იცნობდით?

— კი ვიცნობდი. — წელში გაიმართა და მომაჩერდა იელის ნაჭამი თხის თვალებით. ღიმილი შეაშრა სახეზე იმწამსვე. წამიძღვა და გაოცებულმა მომხედა რამდენჯერმე, ვის ელოდა, ვერ გავიგე.

— ფაცია მარხია აქანე, ან აქანე, ან იქინე... — უპატრონო საფლავებს დააჩერდა ტუჩზე თითმიდებული. — მამამისი მჭედელი იყო, ძმა ყავდა პოეტი, თავარი კაცი, განათლებული... აგერ მამამისის ძვალი, — მჭედლის ეტყობა, მიწამ ამოაგდო საფლავიდან...

ძაღლის გამოხრული ძვალი აიღო და რბილ, ნოტიო მიწაში ჩატენა.

* * *

2) **ალექსანდრე კოსარევი** იყო საბჭოური იმპერიის კომკავშირის გენერალური მდივანი. პარტიას კომუნისტურს ჰყავდა ცვლა — კომკავშირი, კომკავშირს პიონერი, პიონერს ოქტომბრელი. პატარაობიდან გვინერგავდნენ მიწიერი ცხოვრების ბედნიერებას, მორჩილებას, ერთაზროვნებას, ერთმსოფლმხედველობის კალაპოტში ყოფნას. ოციანი წლების კომკავშირს შეთავსებული ჰქონდა აგიტაცია, მასების გამოთაყვანების თერაპია, შპიონაჟი. დაქონდათ, ატარებდნენ ოფიციალურად იარაღს (რუსული „ვინტოვკა“, „ნაგანი“) და დადიოდნენ, ერეოდნენ ადგილობრივი მმართველობის სამეურნეო და საპოლიტიკოსო სამსახურების მუშაობაში. მათმა აქტიურობამ ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო; ყურისასაწევმა ადამიანებმა სიკვდილს დაუწყეს თამაში; მოყვნენ კიდეც წმენდაში მასიური ტერორის მიწურულს. გამოხშირვის ინექცია მოგვიანებით შეუმხაპუნეს, მოუსპეს ინიციატივა, დაუმსხვრიეს ჯოგური ინსტიქტები და წარმოდგენები.

შემოდგომის ცივ და მთვარიან ღამით აიყვანეს მათი ბელადი, ხათამაშო ცეკას — კომკავშირის — მდივანი, რომელსაც თავი გენსეკის მემკვიდრე ეგონაო. რა ეგონა და რა არ ეგონა, ახლა არავინ იცის, რაც იყო, ისიც კმაროდა და ამიტომ თავად ლავრენტი ბერია ეახლა დაპატიმრების ორდერით. ბერიას ცეცხლსასროლი იარაღების კოლექციაც აინტერესებდა, მაგრამ გააოცა არა იარაღების ექსპოზიციამ, არამედ წიგნების სიმრავლემ. როდის ან როგორ შეაგროვა ამდენი წიგნი ამ ორკლასდამთავრებულმა სულელმაო, გაუკვირდა. კარგად იცნობდა. მრავალნაირ სიტუაციაში შეხვედროდნენ ერთმანეთს. მისი გზა არ ჰქონდა გაველილი და შურდა კიდეც, თუმც მეტოქეს ვერ ხედავდა გუმანითაც.

მოვალეობა მეგობრობაზე, მით უმეტეს, ნაცნობობაზე მეტია და მიუხედავად ამისა, მცირეოდენი უხერხულობა ახლდა ამ ვიზიტს. კოსარევი კი ლავრენტის არა, მაგრამ დაჭერას ნაღდად ელოდა. რამდენიმე დღის წინათ (არა ასაკის გამო) დაატოვებინეს კომკავშირი და შინაურ პატიმრობაზე მიუთითეს, არც მთლად ნართაულად; გარიცხეს ისე სწრაფად და ოპერატიულად, როგორც რიცხავდა, ხსნიდა და გაწირავდა ხოლმე მისიანებსაც კი. ელოდა. არ ეჯერა, თორემ — იცოდა. მოვიდნენ. გაცხადდა, დამშვიდდა თითქო, თუმც პაპიროსი აღარ გაუგდია ხელიდან იმის შემდეგ. ცოლი მარია ვიქტოროვნა, გეგონებოდა, ქმარს მორიგ პარტიულ დავალება-გაწვევაზე ისტუმრებდა, საქმიანად ფუსფუსებდა, ულაგებდა საცვლებს, არ გაცივდეო, ეხვეწებოდა. მოვუვლით ჩვენ, თქვენ ნუ ინერვიულებთ. დაამშვიდა კარგად ცნობილმა ლავრენტიმ.

ღამის ერთი მორიგი, თუმც მნიშვნელოვანი ოპერაცია კი უხმაუროდ, უექსცესოდ მთავრდებოდა, დამთავრდა [illegible] ქუჩაში გამოსულთ ქალის ხმამ გაუხვრიტათ ყურები. მარიას ძვირფასი ბეწვის ქურქი მოესხა საბალმასკარადო, გულმოხსნილ, რძისფერ გრძელ კაბაზე.

— Саша, вернись! Простимся!

ზეაწეულმა ბგერებმა დაარღვიეს თეატრალური მოედნის იდუმალება. დიდი სახლის ერთ ბინაში შუქი აინთო, ფანჯრის ფარდები დაშორდნენ ერთმანეთს ერთ ფანჯარაში.

— წამოიყვანეთ მაგიც, მაგის დედა ...! — გადაულაპარაკა ვიღაცას ლავრენტიმ ქართულად.

მანქანებში რომ სხდებოდნენ, მარიას ხმა ისმოდა, ჩემგან რაღა გინდათო. ჩასვეს ორდერის გარეშე და როცა მოიცალეს, გამოუწერეს მუხლები: 58 (პრიმა), 8 (ტერორი), 11 (ჯგუფური ანტისაბჭოთა აგიტაცია) და მიუსაჯეს ათი (10) წელი, გაუგრძელეს და ჩვიდმეტი (17) წელი გაატარებინეს ნორილსკის გრილ მხარეში.

ალექსანდრე კოსარევი დახვრიტეს დაპატიმრებიდან სამი თვის შემდეგ ოცდათექვსმეტი წლისა; კომკავშირის ასაკს გადაცილებული.

ერთ-ერთი ბრალდება: მორალურად გახრწნილი ახალგაზრდების მფარველობა და საყოფაცხოვრებო მორალური გახრწნა. ეს დაემთხვა ლავრენტი ბერიას ანალოგიურ ბრალდებას, რომელიც ლავრენტი ბერიამ მთლიანად და უმტკივნეულოდ გაიზიარა.

* * *

3) **ელისაბედი** დაიჭირეს სიბერეში, ოთხმოცს რომ აღარაფერი უკლდა, — მაშინ. დაამწყვდიეს სოფლსაბჭოს გომურში. დაპატიმრების ბრძანება გასცა საბჭოს თავმჯდომარემ მიტუშა (მიტუა) შოთიძემ, მეტსახელად დედასლავაშამ.

დიდედა, თქვენ რო იტყვით, ბებია, ბალახებისაგან ამზადებდა საყმაწვილე წამალსა... ავიზნისას არა... საზარდული, ტრიკი, თუ რაც არი, რო ჩამოეზრდებოდა პატარას, შეასმევდა ამ წამალსა და მორჩა, ჩასვამდა საკვერცხეებს თავის ალაგში. სიბერემდისა აღარა ჩამოგვეზრდებოდა რა. მკურნალობდა დიდედა. რივი იდგა ხანდახან ჭიშკართან. თავად თესდა ბოსტანში იმ ბალახსა, რომლისგანაც ამზადებდა წამალსა. პატარა კუთხე ჰქონდა გამოყოფილი სანაკილოზე. იზრდებოდა ის მცენარე, ყვაოდა ყვითლად შაშკვლავივითა. ახმობდა, ფშვნიდა დიდედაი, თაფლსა და ღვინოში ლესავდა. ღვინო საფერავი... დანიის ვერ გაჭრიდი იმნაირი სქელი დგებოდა ჩემ დროსაც კი. ეგ იყო სულ დიდედას, ბებიაშენი იყოს თუ გინდა, საკმაზ-სანელებელი. რო რამე ყოფილიყო, მეც დავამზადებდი, მაგრამ ი ბალახი აღარ ვიცი, აღარ მახსოვს. ის კი არა, ბებიაჩემის საფლავი დამავიწყდა. ბებია ვთქვი? ვერ დავიმახსოვრე, საფლავი კი არა — ყვავილი... სადმე იქნებ აქვე სახლიყურშიაცა ჰყვავის, მაგრამ რომელი? ღვინო არი, თაფლი არი... რა ღვინო იყო ის საფერავი, სქელი თათარასავითა! ბალახი აღარაა საწამლე, იქნებ არი. ვიცი რო?! ათიოდე წლის კი ვიყავ, ჭკუაც მამეკითხებოდა, მაგრამა ჩემს იმედზე ახლა აღარავინ რჩება და მაშინ ვინ უნდა დარჩენილიყო. მე კი არა, ჩემმა გვარმა დაკარგა ჯვარის მონაპოვარი. საწყენია...

დაამწყვდიეს, მოკლედ, დიდედა. შემოთვალა, პაპიროსები გამომიგზავნეთაო. ვუგზავნიდით. იჯდა. არა სჭამდა. ეწეოდა. არ ყოფნიდა. რაიონიდან ამოგვქონდა დერადერად. ეგ არაფერი. გავიდა დრო. რაიონის ჩეკაშა უკითხავთ, რამდენი წლისაო. წლებს არ უჩივის, ხანი არ აკლია, მაგრამ ბნელ აზრებს უნერგავს მშრომელ გლეხობას, ყოფილ თავადაზნაურთა და მენშევიკთა სასარგებლოდ ლაპარაკობსო, ქაქუცა ჩოლოყაშვილს ახსენებსო. ბნელეთის მოციქულია თანაც, აქიმბაში, აკრძალულ წა-

მლებს ამზადებსო. რამდენი წლის არიო, წელი აინტერესებდათ და არა საქმიანობა. დედაბერი არ ჩამოიყვანოთ აქაო, სასაცილოდ თავი აიგდეთო. თქვენი გადასათრევი თქვენვე გადაათრიეთაო. სოფლის გადაწყვეტილებით ისარგებლეთ და იმოქმედეთ: გინდა ჩაქოლეთ. გინდათ დაწვით, მხოლოდ კანონი არ გახაროთო.

– რა ექნა, მე ამი ღედაი კი ვატირე! – ქუდი დაახეთქა კანტორის აივანზე ღედასლავაშამ, – არ გამიხდა ეს ელისაბედი ჭრელი პეპელა, რა ვქნათ?!

– ჩამოვართავთ ხელწერილი და გავუშვათ! – განაცხადა გამგეობისა და პარტიის წევრმა 1921 წლიდან იოანე ჩუმლაყელაშვილმა – დაწეროს: აღარ დავამზადებ. აღარ ვუწამლებ, აღარ მოვარჩენ.

პარტიული სტაჟი მაინც პარტიული სტაჟია, რაღაცას ნიშნავს... გაიფიქრა ჩუმლაყელაშვილის ლოგიკით გაოცებულმა ღედასლავაშამ.

გაათავისუფლეს ხელწერილითა და მონანიებით. აღარ ვიზამო და აღარ ქნა... შეეშვა წამლობასა. აღარც თესდა, აღარც აყვავილებდა, აღარ ახმობდა, აღარა ლესავდა თაფლითა და ღვინით ქვაბუნაში. მოვისვენეო, თქვა, მაგრამ ჯაერობდა, ვხვდებოდით. იჯდა ეწეოდა, ხმებოდა მინდვრიყვავილივითა. გავიდა ერთი წელი, შეიძლება მეტიცა და ვხედავთ: შემოიძურწა ეზოში ღედასლავაშა. მიტუაი. მოდის მუხლებჩატეხილი. საჯდომგამომწვარივით, ცხენი მოჰყავს ავშარითა. ელიზაბეტა ივანოვნაო, ეუბნება. ბალღი მყავ ავადაო, ტრიკი ჩამოუვიდა, ექიმებმა შენთან მომასწავლეს, უნდა მიშველო, პატივისცემა ჩემზე იქნება, ხბოიან ძროხას მოგიყვანო. უყურა დიდედამა, უყურა, უყურა ბოლს იქით, დადო ნამწვი პაპიროსისა, ადგა, შევიდა მარანშია და გამოიტანა კვარტიანი ბოთლი. გაწმინდა, მოაშორა აბლაბუდა, ესდა შემომრჩაო, უთხრა და მისცა, მე აღარ დამჭირდება გასაგები მიზეზის გამო და შენ გქონდესო, პატარასათვის ბევრია, დიდს ან ეყოფა, ან არაო, წაიღე. მოიხმარე, ბოლო ხარო; ჩემს შემდეგ ბოლშევიკები უმკურნალებენ პატარებს, დიდებს, გამოწელილს ვერ შეტენიან თვარა, შეტენილს გამოწელიან. ნახავთ მალეო.

წაიღო მიტუამა, ოცობოცოდ წავიდა, ცხენი წაიყვანა ავშარითა. შემოდგომაზე შემოთოხარიკდა ძაღლის ყეფის ტუშზედა. ძროხა გამიბერწდა, ცხვარი მოგიყვანე ჭედილაო, ძაღლის ეშინია, მარგილს გამოვაბი ეზოგადაღმაო, თქვა და წარაფის კაი ოხშივარიც ამოუშვა. დიდედა ჯორკოზე იჯდა, ფოფიალა კაბიდან არც ჯორკო ჩანდა, არც ფეხები; იჯდა, ეწეოდა, უყურებდა სტუმარს და არა ძღვენს (ჭედილა არც ჩვენ დაგვინახავს).

– მოგიხდა?

– პატარა მიტუასა?

– დიდსა ვირს. სახედარს.

– ერთი და იგივეა, ელიზაბეტა ივანოვნა... – ვირისა და სახედრის იდენტურობა დააფიქსირა, – მე უნდა მამხდენოდა? – ამღვრეული თვალები გაექცა სხვადასხვა მხარეს.

– შენ, შე ღვთისაგან გლახაკო, მათხოვარო, ცხენზე რომ ვეღარა ჯდებოდი, აღარ მახსოვს, ვერ მივხვდი, გეგონა?!

– კუდიანი ხარ, ელისაბედ, – მოიწყინა და კუნძზე დაჯდა, – ნერვიულობაზე ჩამომივიდა. დროა უბედური, გაუგებარი, სხვის ნება-სურვილზე დავიარებით. თორე ერთმანეთისა კი არა გვჭირს რა... ჯარში დამიძახეს, ელისაბედ, სამეთაურო კურსებზედა, ომის სუნი დგას, მაგრამ ამათ ცქერას წასვლა მირჩევნია... პატარას ჯაერი მიმყვება და არ დამიწყევლო, არც მე გამთეალო, გული მიგრძნობს, მაინც ვერ დავბრუნდები და რადა შენ უნდა აიკიდო ჩემი ცოდვა...

დალოცა. არ უშველა. ომი მართლაც დაიწყო და ღედასლავაშა სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

გაიზარდა პატარა მიტუა დიდის სამაგიეროდ. დიდი თავი და კეხიანი ცხვირი გამოყვა. საქმე რომ ვეღარ იშოვნა, ეროვნული რევანშის პარტიაში ჩაეწერა.

* * *

**თვრამეტი** წელი გაატარა პოლიტპატიმრად ციმბირის ბანაკებში. 1956 წელს დაბრუნდა მოსკოვს, მალევე გარდაიცვალა.

სიმამრი იყო ჩემი. ირას მამა. სიმამრზე ხომ შეიძლება? მოკვდა სიმამრი ვასილი პანტელეიჩი. სადიპლომო სპექტაკლს ვამთავრებ, იქითა მაქვს ყურადღება, მაგრამ მოკვდა კაცი ნაციხარი, ნახიმგარი. ახლა რა ვქნათ, ვიკითხე. ირა მეუბნება – არ ვიციო. უნდა გაასვენოთო, თამაზი გვასწავლის. სწორია. გასვენება აუცილებელია. ახალგაზრდები ვართ. გამოუცდელნი. მე შენ გეტყვი, გადაგვყვებოდა სანათესაო, სამეზობლო. უფროსი ქალიშვილი პირველი ცოლისაგან ყაზახეთში თუ ყირგიზეთში ჰყავს გათხოვილი. გამოგზავნა ტელეგრამა: დავტირი საყვარელ პაპოჩკას, ჩამოსვლას ვერ ვახერხებ, დაკრძალეთ უჩემოდო. არც ჰყავდა ნანახი, თუ ერთხელ ნახა გადასახლებიდან დაბრუნებული, არ ვიცი. დატრიალდნენ ისევ ძმაკაცები და დავკრძალეთ ქრისტიანულად, მოსკოვურ-ქართულად. ღმერთი არ წამდა, მაგრამ მღვდელიც მოვუყვანე. მღვდელი მაშინ, ორმოცდაათიანი წლებია, რაღაცას ნიშნავდა. ან პარტიიდან გაგრიცხავდნენ იმის გამო, ან კომკავშირიდან... განსაკუთრებული პატივი მივაგეთ, ამით იმის თქმა მინდა. მოვიყვანე, პარაკლისია თუ რაც არის, სასაფლაოზეც მოვიდა, ვაგანკოვოზე ემარხავთ. დაწვა, კრემაცია?.. არავითარი. ირას სურვილიც ეს იყო, რასაკვირველია. პურმარილი გამზადებულია. ჩვენა ვართ რა, იქაური ქართველები... ირას დაქალებიც მოვიდნენ, ყვავილები, რამე... მოკლედ, გავაცილე ახლა ეს მღვდელი, ჩავსვი მანქანაში... ფული აიღო? არა ბიჭო, არ აიღო! მადლობა რამე, ტაქსის ფულიც მე გადავუხადე, სხვა დროსაც დაგჭირვებოდე ამნაირ საქმეშიო. დამლოცა და საბჭოთა კავშირის ჰიმნის ხმა მესმის. რადიო მგონია. მივბრუნდი, რას ვხედავ:

მოუყვანიათ მილიციის სასულე ორკესტრი. თამაზ მელაძის მოწყობილი ამბავია. რად გინდა ლაპარაკი. დგანან ფორმიანი მილიციელები, წითელ თუ მწვანე კანტიანი შარვალ-ქუდებით და მთელი მონდომებით უბერავენ საბჭოთა კავშირის ჰიმნს: სოიუზ ნე რუშიმი... როგორც არი. ბიჭები თვალს უკრავენ ერთმანეთს. რაღას იზამ. დავდექი მეც. ირას ცრემლები ახრჩობს ამ ჰანგზე. დიდ პატივცემად თვლის ამ პროცესს. ასე იყო... ვირს პიტნა ეზარებოდა და ცხვირში ატენიდნენო, ამასაც ვერ ვიტყვი. რწმენით და გულით კომუნისტი ნამეტანი კომუნისტობისათვის დაიჭირეს... მერე კი შეაძულეს კომუნიზმიც, ღმერთიც, ყველაფერი... კომუნისტურ-ქრისტიანულად დაიმარხა, ბედია. იმ წყობილების მოძულეს ჰიმნი დაუკრეს მილიციის თანხლებით. თვრამეტი წელი ყინვა-სივიწროვე-სიბინძურეში ესმოდა ეს ხმა და იტანდა. გული ეროდა? არც ეს ვიცი. ცხოვრებაში უბედო, სიკვდილშიც უბედური აღმოჩნდა... შეიძლება პირიქით...

ქელეხი კი, მაგარი.

ანდერძი ენახეთ, რაც მთავარია, გასვენების დღეს საწერ მაგიდაზე, მარმარილოს საწერელქვეშ დაეტოვებინა: ერთი თვის პენსია და გადასახადების ქვითრები. დამწვითო, ეწერა, რადა დროის... ამ ფულით არაყი იყიდეთ – „ზუბროვკა“, ჩემი მოგონების დალიეთო... სამასი ლიტრი ტიბაანი გვაქვს ამ დროს გურჯაანიდან ჩამოტანილი...

* * *

**რას ნიშნავს ალჟირი** – **АЛЖИР** პოლიტპატიმარი ქალისათვის, ჩემთვის, ჩვენთვის. რის ასოციაციას იწვევს? საიდან გეცოდინება! აფრიკისას – არა! საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკი გვახსენდება ცოცხლადგადარჩენილთ, ალჟირი კი – **АЛЖИР** ჩვენს მიერ შედგენილი აბრევიატურაა, ეგრეთწოდებული, საბჭოთა შრომა-გასწორების ბანაკისა: Акмолинский лагерь жен изменников родины.

მოგონება.

თარგმანიც შეიძლება.

პირდაპირ. სიტყვა-სიტყვით გადმოღებას ვაპირებდით კიდეც. არ ვიქნებოდით სწორი. ნუ დავაგდებთ გზას ძველს, ჩვენს მიერ გატკეპნილს.

მოგონება.

რუსი ინტელიგენტი ქალის მცირე მოგონება:

... იმ ბანაკში – საპარის ყინულოვან უდაბნოში – აკმოლინსკის ალჟირში – რვა ათასამდე ცოლი. ფაქტიურად, ბავშვებდაობლებული ქვრივი ვცხოვრობდით. დღისით დასაქმებულთ, მუშაობით გართულთ, არა გვიშავდა რა; ბანაკში შედენილთ მწუხრის დაწყებისას დაძინებამდე ურვა გვერეოდა, თითქმის ერთდროულად ხმით, უხმოდ, ცრემლით, უცრემლოდ ვიწყებდით ზუზუნს; მიტოვებული პატარების დარდი კლავდა უმრავლესობას: როგორ, რანაირად დაიზრდებოდნენ უპატრონოდ, უდედმამოდ, მოუფერებლად. ადამიანი ყველაფერს ეჩვევაო, ეჩვევა, მაგრამ დედაჩვილწართმეულს ძუძუ უშრებოდა, ცრემლი კი არა.

საქართველოდან გადმოსახლებულ ქალებს – პარტიული პირების, კულტურის მუშაკების, მწერლების ცოლებს, მათ შორის, ბორის პილნიაკის მეუღლეს – განსაკუთრებით უჭირდათ, ცივ სამყაროში სუნთქვა უძნელდებოდათ. მღუმარედ იხსნენ ცივბინდმომდგარ სარკმლებსიქით თმა-ნაწნავებ ჩამოშლილნი. მზეზე იბზიალებდნენ ზაფხულში წაბლისფერ, წელამდე დაყრილ დალალებს; ივარცხნიდნენ, თმაში ასრიალებდნენ სავარცხლებს მზის ჩასვენებისას და ჩუმად იცრემლებოდნენ. ერთი ქართველი ქალის ნაწნავები ზედა ნარიდან ქვედამდე, თითქმის ბეტონის იატაკამდე იყო ჩამოსული. მიდიოდნენ ბარაკის შორეული კუთხიდანაც და ბუნების საოცრებას ათვალიერებდნენ, ხელით ეხებოდნენ. სინათლეში ლანდავდნენ თმას. ქართველი ქალი ლურჯცრემლნარევ თვალებს გადმოწევდა და სუსტი ღიმილი ნიავივით გადაუვლიდა სახეზე.

ერთ დღეს გრძელი თმის შეკვეცის ბრძანება გამოაცხადეს და გამოაკრეს. სანიტარული მოსაზრებით და შინაგანაწესის უგულებელყოფის მომიზეზებით ნაწნავების ტარება იკრძალებოდა მთელს კოლონიაში, მთელს კოლონიაში ხაზგასმული იყო და რადგანაც ნაწნავებს ქართველები ატარებდნენ, უნაწნავოთა ყურადღებაც მათკენ იყო მიპყრობილი ცოტა ხნით. ნებით არ შეიჭრით, ძალით მოგკვეცავთო, განაცხადეს და წამზომიც ჩართეს, საპროტესტო ბუზღუნისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ და საპატიმროსაც მიავიწყდა ბრძანება იმ დღის გადაგორებისთანავე.

და ერთ საღამოს, განკარგულების აღსრულებამდე ერთი დღით ადრე, როცა ბარაკი დასაწოლად ემზადებოდა, პატიმარ ქალთა ყურთასმენას გლოვის ზარის ხმა მიწვდა. ქართველი ქალები ერთად შეყრილიყვნენ და შემაძრწუნებლად მოთქვამდნენ. უზარმაზარი გალია ისტერიკაში ჩავარდა და ჩვენ ყველანი ავტირდით: გაგვახსენდა უპატრონოდ დატოვებული შვილები, დაღუპული ქმრები, მშობლები, ახლობლები, უსიხარულოდ გაფრენილი ახალგაზრდობა.

კვლევა

# „მომივლინე შენი ხატი...“

## თამარ ერისთავთან, მის პოეზიასთან ნაგვიანევი და უცაბედი შეყრა

განსაცვიფრებელია, ღმერთმანი, როგორ ავცდით ერთმანეთს მეფისნაცვლის ყოფილი რეზიდენციის ტალანებში, მაშინ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე რომ ერქვა.

სკოლის მოსწავლე თამარ ერისთავი მაშინ უკვე პოეტი და მთამსვლელი იყო და სასახლეში ხშირად დადიოდა თავისი მამიდის* – მზია ერისთავის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში. მე კი ქეთევან ანანიაშვილის ლიტერატურულ ნავსაყუდელში დავიდე ბინა.

კიდევ უფრო გასაოცარი და აუხსნელი ის იყო, რომ მომავალში ისევ საბედისწეროდ ავცდი თამარ ერისთავის პოეზიას, მის ლექსს – ერთდროულად შემართულსა და მოკრძალებულს, მძლავრსა და ფაქიზს, ვნებით აღსავსესა და კდემით ალბეჭდილს. მერე როცა გავიცანი ქალბატონი თამარი და მისი პოეზია, დავრწმუნდი, რომ ისინი – ორეულებია.

მწერალ ნანა ღვინეფაძის შესანიშნავ კრებულში „შარავანდედი“, სადაც ხმოვანებს ლეგენდარული მარო მაყაშვილის მოწამებრივი სიცოცხლე და მომავალ, არშექმნილ ტილოთა მხოლოდ მისეული, განუმეორებელი ხიბლით დატვიფრული ესკიზები – სწორედ ამ კრებულში წავაწყდი მაროს დის – ნუნუ მაყაშვილის ქალიშვილის – თამარ ერისთავის დახვეწილ სტრიქონებს... და როცა მოგვიანებით წავიკითხე ქალბატონ თამარის ლექსი – ავტოპორტრეტი – „ ეს იყო მაშინ“, განსაკუთრებით ენერგიული, ლამის კინემატოგრაფიულად ხილული სტრიქონები:

**„არავითარი სამკაული,**
**ოქრო, მარმაში,**
**ივრის წნორივით**
**მწვანე კაბა**
**და ქარი თმაში...“**

მივხვდი, რომ ის ჩემი პოეტია, მე კი მისი მკითხველი. ალბათ ამიტომაც გულუბრყვილოდ შემშურდა ლექსის იმ ადრესატისა, რომელსაც თამარ ერისთავი ასე მიმართავს:

**„...რაო, რა მითხარი?**
**– მთაში თოვსო,**
**ბარში გაზაფხული ყვავის**
**ჯერეც?**
**ნუ იტყვი მაგას გასაგონად, –**
**გული ისეთი სულელია,**
**მართლა დაიჯერებს...“**

არადა, დრომ მხოლოდ გამოკვეთა ის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ფასეული, რაც ქალბატონ თამარის უდიდეს შინაგან და გარეგნულ ხიბლს შეადგენს.

ზემოთ მოგახსენებდით, ქალბატონ თამარის ლექსის თავისებურებაზე (შემართული და მოკრძალებული და ა. შ.) ეს ალბათ აიხსნება კახელ მაყაშვილთა და იმერელ ერისთავთა საპირისპირო ტემპერამენტების ბედნიერი დუღაბით. პოეტის სტრიქონის კახური სიმყარე, სიმსუყე და სისადავე გაზავებულია იმერული ლაღი სიმსუბუქითა და არტისტიზმით; პო, კიდევ იუმორით.

თამარ ერისთავის პოეზიაში ვლინდება ავტორის ისტორიული და თანამედროვე ფართო ერუდიცია, საქართველოს თემის უნივერსალური აღქმა (პოეტი პროფესიულად ფლობს სამშობლოს ისტორიას, შემოვლილი აქვს მისი მთა და ბარი). ამ მხრივ საოცრად ტევადია ლექსი „თუ მტერი არ ხარ“. ეს ლექსი, არ დაგავიწყდეთ, დაწერილია სამოცდაათიანი წლების დასაწყისში და მასში არის ასეთი სტრიქონები:

**„ნუ ამაშორებ ფრენისა**
**და ოცნების საფრთხეს...“**

„შუადღე თეძამზე“ – წარსულის ამეტყველება თანამედროვე შეგრძნებებისა და ხილვის ვარაყით.

**„ციხე-კოშკების სქელ**
**კედლებში შეხიზნულიყვნენ**
**ისტორიის და ლეგენდების**
**გრძელი ჩრდილები...“**

და იქვე:

**„იდგა შუადღის პაპანება**
**პურის ყანაში**
**და ტანშიშველი მიდიოდა**
**მზეზე თეძამი...“**

გახსოვს, პოეტის სტრიქონებში კდემისა და ვნების შერწყმაზე რომ მიგანიშნე, მკითხველო?

ასევე მძაფრად ფეთქავს საქართველო ლექსებში „დავით გარეჯის უდაბნოში“, „დიდი თურქობა და ჯვრის ტაძარი“, „სამშობლო“ (ეძღვნება მზია ერისთავს) „მთათუშეთში“, „სვანეთის მთებში“, „ზმანება ვანის სამარხებთან“ (არქეოლოგ ოთარ ლორთქიფანიძეს), „ძველ სამარხებთან“... ამ ბოლო ლექსში მომხიბლა ავტორის – საქართველოს ორი არისტოკრატული გვარის წარმომადგენლის – დემოკრატიზმმა:

**„ვისაც თავს ჯილა არ ეხურა,**
**წელს არ ერტყა**
**ოქროს ქამარი**
**და ვისაც ჩაჰყვა სამარეში**
**მხოლოდ ცრემლის**
**მარგალიტები –**
**ის აღარა ჩანს?**
**წაიშალა მისი სახელი?..“**

ესეც თავისებური, პოეტურად გააზრებული ანარეკლია ილიას წუხილისა:

– ჩვენს ისტორიაში ხალხი არა ჩანსო.

საქართველოს თემის უნივერსალურ ფლობაზე რომ ვწერდი, რაღა თქმა უნდა, ქართული ფოლკლორიც მქონდა მხედველობაში:

**„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,**
**მთაში დევი ჩამდგარიყო,**
**ცალი ფეხი გუდანს ედგა**
**და მეორე - ბაცალიგოს,**
**წყალში ბადე გადაეგდო,**
**ბადის წვერი გამწყდარიყო,**
**ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,**
**ბადეს თევზი გაჰპარვიყო,**
**სულ არაგვში წასულიყო,**
**რაც იყო და რაც არ იყო“.**

დიდი სიხარული და დიდი სევდაცაა ჩაღვრილი თამარ ერისთავის გულახდილ ლექსში:

**„ბედნიერებას იმ დღეს ეცვა**
**უბრალო კაბა,**
**მხრებში მოხრილი მიდიოდა**
**პატარა მუკით,**
**თვალებში ედგა უჩვეულო**
**სინათლის მუქი, –**

იხ. მე-10 გვ.

** თამარის მამა – ლევან ერისთავი იყო გამოჩენილი ქართველი ჰიდრომშენებელი, რომლის ხელმძღვანელობითაც აშენდა პირველი ელსადგური აჭარაში – ახლაც მოქმედი აწჰესი. დაიღუპა 1937 წელს.*

## კვლევა

# „მომივლინე შენი ხატი...“

(მეცხრე გვერდიდან)

თვალებში ედგა. უჩვეულო
სინათლის მუქი, –
რაღაცა ძნელი სიხარული
მიჰქონდა ალბათ.
ჩავუარე და არ შევჩერდი
არ გავყევ უკან,
მხოლოდ ღიმილი შევაგებე
თავაზიანი,
მოვიხედე და...
დადევნება იყო გვიანი, –
უკვე გაევლო გასავლელი
პატარა მუკა“.

ხომ არის, მკითხველო, პოეტურ პირობითობაში რაღაც დიდი სიმართლე, ცხოვრებისეულ სიმართლეზე უფრო ხელშესახები და დამაჯერებელი?

ამბობენ, მსოფლიოს სილამაზე გადაარჩენსო და ჭეშმარიტი პოეზია ხომ სულის სილამაზეა! დღეს მსოფლიოში სულიერების შემაშფოთებელი კრიზისია, ჩვენშიც, საქართველოშიც. თამარ ერისთავის პოეზია ისეა გაჯერებული, როგორც თვითონ წერს „მხნე და მაჯაგი“ და ამავე დროს ფაქიზი და ნატიფი სიყვარულით, რომ უნებლიედ ოპტიმიზმი გეუფლება. ისევ მჯერა, რომ ქართველი ყველაზე უფრო კეთილია, ყველაზე უფრო მიმტევებელი და სულგრძელი. რა ვუყოთ, რომ ზოგიერთი გაზეთი და „მოლვაწე“ დაავადდა პათოლოგიური სიძულვილის სენით, რომ „გენაცვალესავით“ ხმარობენ ტერმინებს: „მოღალატე“, „აგენტი“, „რეაქციონერი“, „ობსკურანტი“ და სხვა. ასეთებს, ირაკლი აბაშიძის ერთ გახუმრებას რომ დავესესხოთ, იმერეთში, აგვისტოს ხვატი ჩამოწვებოდა თუ არა, იმწამსვე აბამდნენ ხოლმე. მაგრამ აგვისტომდე რომ ჯერ კიდევ შორსაა? არა უშავს, წყალნი წავლენ და წამოვლენ და ისევ აინთება ნაწვიმარ სილაში გალაკტიონის ვარდი.

თამარ ერისთავის პოეზიაში ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშებიც გვხვდება. ერთმა ლექსმა კი საერთოდ შემძრა... ეს არის „სიბერის გალანტური ეტიკეტი“, დაწერილი თხუთმეტი წლის წინათ. ქალბატონ თამარის შემხედვარეს, ახლაც არ მესმის 1985 წელს რამ დააწერინა მას ასეთი ლექსი, თუმცა ის, თუ რამე გამეგება პოეზიისა, ნამდვილი შედევრია. მისი გადმოცემა არ შემიძლია და, მოდი, მკითხველო, ერთად წავიკითხოთ:

„– ნუ გეშინია,
მე ერთბაშად არ დაგარბევ
თემურ-ლენგივით,
და შენს სამრეკლოს
არ ჩამოვხსნი
წკრიალა ზარებს,
არ აგიჩეხავ ნასათუთარ
ვაზსა და თუთას
ორლესული ხმლითა
და წალდათ,
ასე ერთბაშად არ წარგტაცებ
სუყველა წადილს
და შემოდგომის ფოთლებივით
არ გავატან
სუსხიან ქარებს.
ნუ გეშინია,
მე ერთბაშად არ წაგლეკავ
თემურ-ლენგივით...
თანდათანობით შეგაჩვევ სევდას,
თანდათანობით დაგასიზმრებ
უამურ სიზმრებს,
თანდათანობით ფეხდაფეხ
გდევ და
თანდათანობით შეგაგუებ
ყველა შენი ტკივილის მიზეზს,
თანდათანობით ვათქმევინებ
პირუთვნელ სარკეს,
რომ ის აღარ ხარ, რაც იყავი,
და მაინც ის ხარ,
თანდათანობით ყველა კვესის
ნაპერწკალს დავკვეს,
თანდათანობით, და
მისხალ-მისხალ.

და ყველა გვირაბს,
ყველა ბილიკს,
ყველა მოსახვევს,
ბედისწერის ხელით დანომრილს,
გაგატარებ თან-და-თა-ნო-ბით.
ნუ გეშინია,
მე ერთბაშად არ დაგარბევ
თემურ-ლენგივით.
...
თანდათანობით გზის გავლის და
კარის მიკეტვის
ჩემი წესი მაქვს
და ეტიკეტი...“

* * *

თამარ ერისთავი ქართულისა და რუსულის გარდა სრულყოფილად, პროფესიულად ფლობს ინგლისურ ენას და ნაყოფიერად თარგმნის ინგლისურენოვან პოეტებს.

ნამდვილი შემოქმედებითი გმირობა იყო ჯორჯ გორდონ ბაირონის პოემის „The Prisoner of Chillon“ „შილიონის პატიმრის“ გადმოქართულება, პოემისა, რომელიც ჟღერს, როგორც თავისუფლების ჰიმნი, როგორც ადამიანის დაუმარცხებლობის ლიტურგია.

ამ თავისუფლებისმოყვარული სტრიქონების თარგმანიც, ესეც ნუ დაგავიწყდებათ, დაისტამბა 1970 წელს.

ასევე შთამბეჭდავია ბაირონის „წყვდიადის“ თამარისეული ვერსია, სადაც პუშკინის, მიცკევიჩისა და ბარათაშვილის თანამოდარდის – გენიალური ინგლისელი პოეტის ხილვით დედამიწა არის „უმწვანეხეო, უბალახო, უგაზაფხულო...“

თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთი შემართული და ლამაზი ჰანგია ბაირონისავე „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი“, რომლის თარგმანი თამარ ერისთავმა დასტამბა 1996 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“.

თამარ ერისთავის კალამს ეკუთვნის დიდი შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის მრავალი ბალადის, ლექსისა და ეპიგრამის თარგმანი. ეს კი, ჩემი აზრით, საკმაოდ დიდი რისკი იყო მთარგმნელის მხრიდან, ვინაიდან უკვე არსებობდა სამუილ მარშაკის უზადო, თამამად შეიძლება ითქვას, კონგენიალური თარგმანები ბერნსის უკვდავი ქმნილებებისა.

თამამად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, შემიძლია ვთქვა და ნებისმიერ პროფესიონალს შევედავო, რომ ისეთი ხათარგმნელად რთული ბალადები და ლექსები, როგორიცაა, მაგალითად, „ქერის მარცვალი ჯონი“, „ვინც რა უნდა თქვას, რაგინდ რა იყოს“, „ჯონ ანდერსონი“ და მრავალი სხვა, თამარ ერისთავმა თარგმნა მაღალ დონეზე და ეს ქართული ვერსიები ტოლს არ უდებს განთქმულ მარშაკისეულ თარგმანებს.

* * *

